2K/6574

[illegible]

გრიგოლ ვეშაპელი.

საქართველო
და
რუსეთი.

რუსეთისა და საქართველოს ტრაქტატი 1783 წლისა
და ქართლ-კახეთისა, იმერეთისა, გურიისა და სამე-
გრელოს საკავშირო ხელშეკრულობა 1790 წლისა.

ფასი 1 მ. 50 კაპ.

საქართველოს ისტორიული რუკით.

თბილისი
1918.

1036

გრიგოლ ვეშაპელი.

K 16574/2

საქართველო
და
რუსეთი.

რუსეთისა და საქართველოს ტრაქტატი 1783 წლისა
და ქართლ-კახეთისა, იმერეთისა, გურიისა და სამ-
გრელოს საკავშირო ხელშეკრულობა 1790 წლისა.

Д-5-2015-1036

თბილისი
1918.

წინასიტყვაობა.

არამპყრობელ ერთა განთავისუფლება ერთ ძირითად საკითხთაგანად იქცა როგორც სახელმწიფო, ისე საერთაშორისო პოლიტიკისათვის.

დღეს ეროვნული საკითხი გადასაჭრელია აღმოსავლეთშიაც, წინა აზიაში, იქ, სადაც შეხვდნენ ერთმანეთს როგორც ეკონომიური და პოლიტიკური, ისე სტრატეგიული ინტერესები რუსეთისა, ინგლისისა და გერმანეთისა.

განსაკუთრებულათ მნიშვნელოვანია საქართველოს საკითხი: ორმილიონიანი ქართველობა, რომელიც უხსოვარ დროიდან მოსახლეობს გეოგრაფიულად განსაზღვრულ ტერიტორიაზე და რომელსაც ტრადიციით მოსდევს სახელმწიფოებრივობა, ის სახელმწიფოებრივობა, რუსეთთან დადებულ ხელშეკრულობით რომ დამთავრდა,—დიდმნიშვნელოვანად ჰხდის საქართველოს საკითხს.

მაგრამ როგორც უცხოელთა, ისე ჩვენს ისტორიულ და პოლიტიკურ აზროვნებას ნაკლებათ აქვს გარკვეული ეს საკითხი: ყურად არ იღებენ იმ ფაქტს, რომ 1783 წ. 24 ივლისს რუსეთსა და ქართლ-კახეთს შორის დადებული ტრაქტატის უფლებრივი ნორმები შეიცავენ ისტორიულ საქართველოს ყოველ კუთხეს, როგორც რუსეთისა, ისე ოსმალეთისას. მიღება რუსეთის პროტექტორატისა განუყოფელად შეკავშირებული იყო საქართველოს მთლიანობის იდეასთან. ამას მოწმობს ისეთი მნიშვნელოვანი აქტი დამოუკიდებელ საქართველოსი, როგორიც არის საკავშირო ხელშეკრებულობა, დადებული

1790 წ. რუსეთის პროტექტორატის გამო ქართლ-კახეთისა, იმერეთისა, სამეგრელოსა და გურიის შორის, რომელიც აღიარებს „მამობრივ მზრუნველობით“, სუვერენულს უფლებას ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე მეორისას სრულიად გაერთიანებულ საქართველოზე,—ივერიაზე.

ამ ფაქტს აუცილებლათ ანგარიში უნდა გაეწიოს როგორც რუსეთის საქართველოს საკითხის გარდაწყვეტის დროს, ისე მაშინაც, როცა საზავო საერთაშორისო კონგრესი დაიწყებს კავკასიის ლაშქრის მიერ დაპყრობილ ოსმალეთის-საქართველოს ბედის გარკვევას.

თავი პირველი.

მეფე ერეკლეს პოლიტიკა.

მას მერე, რაც დავით აღმაშენებელის დროს შექმნილ ლაშქრისა და სახსრის ღონე მონგოლთ ურდოებმა დალიეს, საქართველოს გეოგრაფიულ ბედით გამოჭედილ დეცენტრალ ძალების ერთად პყრობა გასჭირდა...

სხვა და სხვა ზღვებისაკენ დაქანებულ რიონისა და მტკვრის წყალთა მოპირდაპირე დენამ სძლია ღონე მოშვებულ დინასტიის გამაერთიანებელი პოლიტიკა...

ლიხის მთის იქითი და აქეთი საქართველოს ორად გაყოფას ზედ დავრთო გარეშე დეცენტრალი ფაქტორიც, ორი ერთმანეთის მოცილე იმპერიათა მიერ საპროტექტორატო სფეროებად გაყოფა საქართველოსი... იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროთა ხელისუფლობას ოსმალეთი იკერ ძებდა; ამერეთს, ქართლ-კახეთს სპარსეთი იჩემებდა, სამხრეთი სტრატეგიული და კულტურული ავანგარდი—სამცხე-საათაბაგო სრულებით მოჰგლიჯეს საქართველო ტანს და ახალ-ციხის ფაშალიყად მონათლეს.

მაგრამ მთლიანი და განუყოფელი საქართველოს იდეა ნიაღაგ ღერძი იყო ეკლესიისა და ერის ინტერესთა ერთობაზედ დამყარებულ დინასტიის პოლიტიკისა.

ამ ცხოველმყოფელ იდეის განსახიერება იყო მეფე ერეკლე.

მეფე ერეკლე ღირსეული თანაზიარია ვახტანგ I-ის, დავით III-ის და გიორგი V-თესაგან ნაანდერძევ საქართველოს ერთიანობის იდეისა; მას შემდეგ, რაც 1744 წელს ერეკლე

კახეთში გამეფდა, მისი საშინაო და საგარეო ღვაწლი სულ ერთმეფობის სამხედრო და საპოლიტიკო აღორძინებას ეწირებოდა... ამისთვის ააგო მან ციხე-სიმაგრენი; განაახლა გზები, დაამკვიდრა ბორჩალოს მადანთა სამრეწველო, ააშენა ზარაფ— და თოფ ხანები; იზრუნა ერის გამრავლებისა და გაეერანებულ ადგილების მოშენებისათვის; აღწერა ქვეყნის კაცნი; დაიფარა იტალიელ კომერსანტთა ღებ-მიცემობა; დააწესა სახაზინო ხარჯით შენახული და საყოველთაო სამხედრო ბეგრით შეკრებილი მორიგი ლაშქარი და ვალდებულ ჰყო თვით ბატონიშვილნიც ემსახურნათ ამ ლაშქარში; შემოიღო საქართველოში პირველათ შემოსულ გერმანელის, იაკობ რაინეგსის მიერ თარგმნილი გერმანიის საადმინისტრაციო სამართლის კოდექსი...

ამისთვის მოულო ბოლო ერეკლე მეფემ ქსნისა და არაგვის ეკლესიათა იმუნიტეტს, დაამხო სამშვილდეს ბატონობა; გასწყვიტა მ.მა მისის გარდაცვალების შემდეგ ქართლის ტახტის საძიებლად აშლილნი და 1761 წელს ქართლ-კახეთი ერთ გვირგვინის ქვეშ მოაქცია...

ამისთვის გამოიყენა ერეკლემ შაჰ-ნადირის სიკვდილით არეული სპარსეთი, სრულებით აღადგინა ქართლ-კახეთის ადრინდელი სუვერენიტეტი და ქართველთა ხელმწიფობას დაუმორჩილა ყაზახი, განჯა, შირვანი, ერევანი—ესე იგი, მთელი ამიერ კავკასია ვიდრე არეზამდე..

მაგრამ დასაბრუნებლ სამცხე-ახალციხეს „ირედენტას“ და შემოსაერთებელ იმერეთ-გურია-ოდიშს ძლიერი პროტექტორი—ოსმალეთი—სდარაჯობდა, რომლის სტრატეგიული დაცვისათვის ახალციხის, არტაანის, ყარსის და ბათომის ფლობა მეტათ ხელსაყრელი იყო ყოველთვის.

ამიტომაც მეფე ერეკლეს გამაერთიანებელი პოლიტიკა ეყრდნობა იმ მესამე იმპერიას, ჩრდილოეთით და უკრაინით, ყირიმით და ასტრახანით რომ იწევდა კავკასიისაკენ..

ურთიერთობა საქართველოსა და რუსეთს შორის ირაკლიზე დიდხნით ადრე იყო. ეს ურთიერთობა პირველად რუსთა და ქართველ დიდ გვარეულთა შეუღლებით დაიწყო.

პირველი ასეთი ქორწინება თამარისა და ანდრია ბოგოლიუბსკის შვილის გიორგისა, რაგორც ვიცით, განქორწინებით გათავდა.

პეტრე დიდის დროიდან რუსეთმა იმპერიალისტური პოლიტიკა დაიწყო. უკრაინის შემოერთებამ გზა გაუხსნა მას შავი ზღვისაკენ. ყირიმის დაპყრობამა და იმიერ-ჩრდილო კავკასიის ახალშენად ქცევამ რუსეთი საქართველოს გჭეს მოაყენა. იხატებოდა უცნობი, ბევრის მეტყველი პერსპექტივა კავკასიაში რუსეთის ჰეგემონიისა. კავკასიის სტრატეგიული მნიშვნელობა საახალშენო სამხრეთ საზღვრებისათვის; კავკასიის ეკონომიური როლი როგორც სავაჭრო გზისა სპარსეთისა და შემდეგ ინდოეთისაკენ; კავკასიის მნიშვნელობა შავი ზღვის ხელში ჩასაგდებად—ყოველივე ეს გაითვალისწინა პეტრე დიდმა სპარსეთთან კავკასიისათვის ლაშქრობის დროს. პეტრე დიდს გათვალისწინებული ჰქონდა კავკასიის იქით მდებარე პოლიტიკურათ და კულტურულად უფრო ძლიერი საქართველოს როლიც. აქედან წარმოსდგა პეტრე დიდის საქართველოსთან შეთანხმება სპარსეთთან ლაშქრობის დროს.

ოსმალეთსა და სპარსეთს კარგათ ესმოდათ ამ დაახლოვების საფრთხე. მაჰ-ნადირი ოცნებობდა ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად ოსმალეთისა და სპარსეთის საზღვრები მაჰმადიანთა სამფლობელო რკალით შეეერთებინა ჩრდილოეთ კავკასიით (ოსმალეთი, ყირიმი, ყაბარდო, ჩეჩნეთი, დაღესტანი, სპარსეთი) და ამგვარად ზღუდე აღემართნა რუსეთის წინააღმდეგ. საქართველოს კი უნდა უარ ეყო ჩრდილოეთისაკენ ორიენტაცია.

რუსეთის იმპერატორ-ქალს ეკატერინე მეორეს, რომელიც თითქმის იმავე წელს გამეფდა, რა წელსაც ერეკლე,—სრულებით წინააღმდეგი პროექტი ჰქონდა. ეს იყო პოტემკინთან და ზუბოვთან ერთად შეთხზული „საბერძნეთის პროექტი“, რომელიც გულისხმობდა ოსმალეთის იმპერიის დამხობას და მის ადგილზე ადრინდელ საქრისტიანო სახელმწიფოთა აღდგენას, ადრიატიკის ზღვიდან მოყოლებული ვიდრე კასპიის ზღვამდე... ამ საქრისტიანო სახელმწიფოებში ერთი უკვე არსებობდა იმ ჟამს—საქართველო. ამიტომ, ბერძნულ პრო-

ექტის მიხედვით, საქართველო უნდა გაძლიერებულიყო, გაერთიანებულიყო და დაჰკავშირებოდა რუსეთს... ეს ის იდეა გახლავთ, რომელზედაც შემდეგ თავადი პლატონ ზუბოვი სწერდა მეფე ერეკლეს: ...„მოიხმარეთ რუსეთის ძლევამოსილება თქვენ სამეფოთა და ხალხთა დიდებისათვის, შეაერთეთ და განამტკიცეთ თქვენი სამეფო ხელმწიფება და განავრცელეთ თქვენი მფლობელობა ვიდრე არეზამდის და ოსმალეთის, ხონთქრის კარამდისო“. [1])

ზუბოვის მოხსენებას თვით ეკატერინეს რეზოლიუცია აქვს: „ასე იყოსო“.

ეგრე ეგებებოდა ერთი მეორეს ერეკლეს პანქართველიზმი და ეკატერინეს პანქრისტიანიზმი. ამიტომ დამკვიდრდა თბილისში იდეა რუსეთის პროტექტორატისა.

1768 წელს გამოცხადდა რუს-ოსმალოს პირველი ომი და ერეკლე, ისე, როგორც იმერეთის მეფე სოლომონი, ეკატერინეს მოკავშირედ გაჰხდა იმ იმედით, რომ ხონთქარს ხელს ააღებინებდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოზედ. რუსეთმა დამხმარე ჯარიც გამოგზავნა, მაგრამ ამ ჯარის უფროსის, ტოტლებენის გასაშტერებელმა მოქმედებამ აიძულა ეკატერინე უკანვე დაებრუნებია თავისი ჯარი. ეს 1772 წელში მოხდა.

1773 წელს კი მეფე ერეკლე და იმერეთის მეფე სოლომონ პირველი საკავშირო პირობასა ჰკრავენ, რომელშიაც, აღიარებენ რა რუსეთის უმაღლეს მფარველობას, აღუთქვამენ ერთ-ურთს:

„ვინიცობა არის, რასაც დროს ჩვენს ქვეყანაში მტერი შემოვიდეს, ერთმანეთს მსწრაფლათ ჯარით მივეშველნეთ და ყოველისფრით, რაც კი შეიძლებოდეს, გავისარჯნეთ.

„როდესაც ჯარი ვისმე ჩვენში ერთმანეთს სჭირდეს და რომელმანც მეპატრონემ ჯარი შესაწყენელათ ერთმანეთს სთხოვოს, იმ დროს ვისიც ქვეყანა იყოს, იმ ქვეყნის მეპატრონემ იმ ჯარს სურსათი მისცეს და გააძლებინოს.

[1]) პროფ. ცაგარელი. გრამოტები და სხვა საისტორიო დოკუმენტები ტ. მეორე, ნაწ. 2, ფურცელი 142.

„ვინიცობა არის, ჩვენსავე ქვეყანაში შფოთი აღიძრას, ვისგანაც უნდა იყოს, მაშინვე ერთმანეთს მივეშველნეთ და, რითაც კი შეიძლებოდეს, ისე დავაწყნაროთ, თუგინდა ჩვენი ძმაცა და შვილიც იყოს, თუ უსამართლოდ იყოს, ისინიც დავაწყნაროთ და ავად მოვეპყრათ, ამისთვის, რომ ის უბედურება ამ ქვეყნისგან ამოიგდოს და აღარ მოძრაობდესო“... [2])

ეს საკავშირო პირობა პირველი იურიდიული აქტი იყო მეფე ერეკლეს გამაერთიანებელ პოლიტიკისა; ფაქტიურად კი ამერ-იმერნი დიდი ხნის გაერთიანებულნი იყვნენ საქართველოს დასაცავად ბრძოლის ველზედ ერთად დაქცეულ სისხლით... გასაჭირის დღეს იმერ-ამერნი თანაზიარნი იყვენ. იმერლებმა ხრესილის ომი რომ მოიგეს, 1753 წელს ქართლელები ეხმარებოდნენ... იმერნიც იბრძოდნენ მეფე ერეკლეს დროშის ქვეშ, ქართლ-კახეთს რომ შექისა და ავარის ხანები ესეოდნენ დაღისტნის ჯარებით... რუს-ოსმალოს ომის დროსაც იმერელ-ქართლ-კახელნი ერთად ლაშქრობდნენ ახალციხეში... 1773 წლის საკავშირო აქტი (ამავე წელსვე დააარსა „მოჯიგი ლაშქარი“ მეფე ერეკლემ) მტკიცედ ამკვიდრებდა თვით ცხოვრებისაგან გამობრძმედილ იდეას—მეფე ერეკლეს სუვერენიტეტს მთელ ამერ-იმიერ საქართველოზედ...

მაგრამ კუჩუქ-კაინარჯის ზავყოფის ტრაქტატმა, რომლითაც 1774 წელს დასრულდა რუსეთ-ოსმალეთის ომი, კვლავ გააჯანჯლა საქმე... კაინარჯის აქტი არას ამბობს აღმოსავლეთ საქართველოზედ, რომელზედაც ოსმალეთს არასოდეს ხელი არა ჰქონია... სამაგიეროდ, 23 არტიკულით რუსეთი დასავლეთ საქართველოს status quo ante-ს აღიარებს, სცნობს ოსმალეთის წინანდელ სუვერენობას და აღუთქვამს,—რუსეთი აწი აღარ გაერევა იმერეთ-სამეგრელოს საქმეებშიო... ოსმალეთი თავის მხრივ პირდება, ქართველებს არ შეკავიწროვებო.. ასე რომ იმერეთის შეერთების მთავარ დაბრკოლებას არც 1768—1774 წ. ომით მოელო ბოლო...

---

[2]) ნახეთ ბროფ. ა. ცაგარლის ხსენებულ შრომის 95 ფურცელი.

შეწუხებულმა ერეკლემ ორიენტაციის შეცვლაც კი დაიპირა... მან მოიწადინა ევროპის წესით გაწვრთნილ მწყობრ ლაშქრის შექმნა და სახსრისა და ინსტრუქტორებისათვის ევროპის ხელმწიფეთ მიჰმართა თხოვნით 1782 წელს. კერძოდ ავსტრიის იმპერატორ იოსებ II-დმი მირთმეულ სიგელში მეფე ერეკლე სწერდა: „...ერი ჩვენი მცირე რიცხოვანი არის, მაგრამ რეგულიარული ლაშქარი რომ გვყავდეს, ჩვენზე აღმატებულ მტერსაც გავუმკლავდებით და არც არავინ გაგვიბედავს წინააღმდეგობასო... [3]) მაგრამ, „ქვეყნის პოლიტიკას, ადამიანის სურვილი კი არა, ამ ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა სჭედს.. [4])“ მაშინდელი ავსტრიის რეფორმატორი, ეკატერინე II-ს მეგობარი იმპერატორი, არ იცნობდა ახლანდელ Drang nash Osten-ის პოლიტიკას... საქართველოს პოლიტიკას კი მაშინდელი საბედისწერო ვითარება სჭედდა: დასავლეთ ევროპის კარი, შავი ზღვა, დაკეტილი იყო, სამხრეთით საშიშარ ოსმალეთ-სპარსეთის სახელმწიფონი ეკრვნენ საქართველოს, აღმოსავლეთით ლეკები ჭირვეულობდნენ, ჩრდილოეთით რუსეთის იმპერია მოიწეოდა... მართლაც რომ, რაც უნდა ეწრიალა საქართველოს, რუსეთთან დაკავშირებას მაინც ვერ ასცდებოდა... ერეკლეც ამ გზას დაადგა... ევროპაში ელჩობამ მხოლოდ დაიჩქარა ეს საქმე. ვენის დიპლომატიის პატივის მცემელი ეკატერინე დაფიქრიანდა ავსტრიელთა მიერ ქართულ საქმეში ჩაბმის უსიამოვნო შედეგებით, ხელად ყურად იღო მეფე ერეკლეს სურვილი რუსეთთან დაკავშირებისა და 1783 წელს, სწორედ ყირიმის შემოერთების წელსვე, შეეკრა პირობით ერეკლეს...

---

[3]) იხ. ნაჩვენებ წიგნის 15 — 16 ფურცელი.

[4]) ნიკო ნიკოლაძის ნაწერიდან.

თავი მეოთხე.

რუსეთის პროტექტორატი

საქართველოს და რუსეთის ხელშეკრულობა 1783 წლისა, როგორც აქტი, დაწერილი ორივე სახელმწიფოს უფლება მოსილ წარმომადგენელთა მიერ, სრულებით აკმაყოფილებს საპროტექტორატო ტრაქტატის პირობებს.

ნათქვამია, protectio non involvit subiectionem... და არც საქართველოს დაუკარგავს თავისი სახელმწიფოებრივობა რუსეთთან შ ერთების შემდეგ.

როგორც პროფესორი ბარონი ე. ნოლდე ამბობს: „დადასტურებულია შესაძლებლობა რუსეთთან სხვა სახელმწიფოთა სამუდამო კავშირით შეერთებისა, ზ გჯერ ამ სახელმწიფოთა დამოკიდებულებით, მაგრამ ისე, რომ სახელმწიფოებრივი ერსებობა მოკავშირისა დაცული იქმნეს...

რუსეთის პროტექტორატის ქვეშ მოქცეულ საქართველოს, განაგრძობს ბარონი ნოლდე, სრულებითაც არ დაუკარგავს თავისი სახელმწიფოებრივობა. ასეთივე აზრისაა ბრიუსელის უნივერსიტეტის ს ერთაშორისო უფლებეთა პროფესორი ერნესტ ნისი. იგი ამბობს: Un traitè fut conclu, le 24 juillet 1783, entre l'imreratrice et le roi Hèraclius II. C'était un traitè d'amitie et d'alliance ou se trouvaient les formules les plus expressives du respect, que le gouvernement russe prètendait manifester pour les droits des Céorgiens...

1783 წ. ტრაქტატით საქართველო აღიარებს რუსეთის პროტექტორატს, ისეთს პროტექტორატს, რომლითაც ისე აცდენდა ერეკლეს სპარსეთი... სამაგიეროდ, რუსეთი სავსებით იზიარებს გაერთიანებულ, მთლიან საქართველოს იდეას, იმ იდეას, ერეკლეს პოლიტიკას მუდამ ჟამს სულს რომ უდგამდა...

1783 წლის აქტის უფლებრივი ნორმები მარტო ქართლ-კახეთს კი არა, მთელ ისტორიულ-ბუნებრივ საქართველოს გარემოიცავენ... ტრაქტატის შესავალში ერეკლე მეფის ტიტლო ასეა ჩაწერილი: „მემკვიდრე ხელმწიფე და მფლობელი ირაკლი მეორე... მეფე ქართლისა, მეფე კახეთისა, მემკვიდრე მფლობელი სამცხე-საათაბაგოსი, მთავარი ყაზახისა, მთავარი ბორჩალოსი, მთავარი შამშადილისა, მთავარი კაკისა, მთავარი შექისა და მთავარი შირვანისა, მფლობელი და მბრძანებელი განჯისა და ერევნისაო“... [4]) ტრაქტატის მეორე არტიკული აძლევს: „თავსდებობასა თვისსა მთლად დაცვასა აწინდელთა სამფლობელოთა მისისასა უგ — სა მეფისა ირაკლე თეიმურაზოვიჩისათა და წინადასდებს განვრცელებასა თავსმდებობისასა გვარსა ზედა სამფლობელოსა, რომელიცა წარმდინარეობასა შინა დროთასა გარემოებითა და განრჩევითითა ხატითა შესაბამათ სამფლობელოისა მისისა იპოვებიან, პოვნილნი იგი სამფლობელოისა მისისა მიმართ დაიმტკიცებიანო...“ [4]) ტრაქტატის მეოთხე სეპარატი ცალკე არტიკულით ეკატერინე აღსთქვამს... „იხმაროსმცა ყოველი შემძლებელობაი მეცადინეობისა ღონითა საჭურველისათა, ხოლო დროსა მშვიდობისასა დაზავებისა მიერ, უკუმოქცევისათვის ქვეყნისა და ადგილთა მტერთათვის მათთაგან ქონებულთა და ძველადვე სამეფოისა მიმართ ქართლისა და კახეთისა შერაცხილთა — ესენი უკვე დაჰშთებიან სამფლობელოდ მუნ ბურთა მეფეთა საფუძველსა ზედა თქმულსა ჰაზრთასა, რომელნიცა ითქვნენ მფარველობისათვის“... [4]) დასასრულ, სეპარატის პირველი არტიკულით „აღიძრავს დიდებულობა მისი მისისა უგანათლე-

---

[4]) ნახეთ პროფ. ა. ცაგარელის „გრამოტების“ მეორე ტომის 76 ნომერი დოკუმენტი.

ულებისადმი მეფისა ქართლისა და კახეთისა ირაკლი თეიმურაზოვიჩისა მიცემად მეგობრისა და კეთილის თანხმობისა უგანათლ—ისა მიმართ იმერთასა სოლომონისა განწესებისათვის ყოვლისა მის, რაიცაღა შესაძლებელ არს ოდენ ღონიერყოფად... აღსთქვამს იმპერატ — ითა სიტყვითა თვისითა ბრათუ ოდენ შეწევნად მეცადინეობითა თვისითა ყოფისათვის ესოდენ სასარგებლოისა ამის საქმისა, არამედ ამას ესე ვითარსაზედა მშვიდობასა და თანხმობასა მისცემ, თვისსა თავსმდებობისაო"... [4])

ამგვარად, 1783 წლის აქტი ერთის მხრივ აღიარებს ქართლ-კახეთის უფლებას ძველად ქართულ სამეფოს გვირგვინის კუთვნილ ქვეყანაზედ; და ამ ქვეყანაში, ტიტლოში ნახსენებ სამცხე-სათაბაგოს გარდ, ხომ მთელი იმერეთი და მთელი ოსმალეთის საქართველო უნდა იგულისხმებოდეს. მეორეს მხრით, რუსეთი პირდაპირ ამტკიცებს ქართლ-კახეთსა და იმერეთს შორის თანხმობა-ერთობას და ამით სრულებით თუ არ უარჰყოფს, მეტად ასუსტებს მაინც კუჩუქ-კაინარჯის აქტის 23 მუხლის ძალას...

1783 წლის ტრაქტატით ზურგ-გამაგრებულ ერეკლეს ხელ ახლად ეძლევა ლიხის მთის იქით აქტიურ პოლიტიკის სახსარი... 1784 წელს გახსნილ დარიალის კარით მოვიდა კართლ-კახეთის შესაწევარი რუსის ჯარი... მეფე ერეკლეს განკარგულებაში მყოფი ორი ბატალიონი შტიკი შესაფერ შთაბეჭდილებას ახდენს ოსმალეთში და სპარსეთში... ახალციხის და აზრუმის ფაშები და თვით აღა-მამად ხანი შუამდგომლობენ ერეკლეს წინაშე რუსეთის წყალობას გვაზიარეო... ინდოელი სომხები მილიონების წკრიალით ცდილობენ ერეკლეს მოხიბლვას და სომხეთის სამეფოს აღდგენასა სთხოვენ, თუნდაც ქართულის გვირგვინით... სოლომონისა, დადიანისა და გურიელის თვალი მიპყრობილია ერეკლეს წარმატებისაკენ და მთელი იმერეთი ისე შეჰყურებს ქართლ-კახეთის მეფეს, როგორც მთელ საქართველოს მხსნელ ეროვნულ მხედართ-მთავარს.

---

[4]) ნახეთ პროფ. ა. ცაგარელის „გრამოტების" მეორე ტომის 76 ნომერი დოკუმენტი.

მაგრამ 1787 - წელს რუსეთ-ოსმალეთს შუა ახალი ომი იწყება. ტოტლებენის კამპანიით გულგატეხილი ეკატერინე საქართველოში მდგარ ჯარს უკანვე აბრუნებს რუსეთში... ნაგვიანებათ გაფრთხილებული ერეკლე ძლივს ასწრებს ახალ-ციხის ფაშასთან და შემდეგ თვით ხონთქართან მორიგებას, რომლის ძალით რუსეთ-ოსმალეთის მეორე ომის დროს ქართველები და ოსმალები არას ერჩიან ერთმანეთს... ახალი საზავო ტრაქტატის მოიმედე ერეკლე მოლაპარაკებს ჰმართავს იმერეთთან და, როგორც მთელი საქართველოს და რუსეთის შუამდგომელი, წინადადებას აძლევს ეკატერინეს — დაზავების ტრაქტატში საქართველო არ გამოსტოვოთ და, 1783 წლის ხელშეკრულობის თანახმად სამცხე-საათაბაგო ქართლ-კახეთს, აჭარა და მთელი მისი მხარე (ე. ი. ჭანეთიც,. გ. ვ.) კი იმერეთს არგუნეთო„ [5])

იმერეთის საქმეები ამ დროს მეტად არეული იყო. სოლომონ პირველი გარდაიცვალა უშვილოდ. დაობლებულ ტახტის კანონიერ მემკვიდრედ ჯერ კიდევ მეფის სიცოცხლეშივე იყო გამოცხადებული ერეკლეს და დარეჯანის შვილის შვილი, დავით არჩილის ძე. მაგრამ სოლომონის გარდაცვალების წელს, 1782-ში, დავითი მხოლოდ თორმეტის წლისა იყო და დიდებულებმა ის კი არა, სოლომონის ბიძაშვილი, სრულ ჰასაკოვანი დავით გიორგის ძე გაამეფეს. ერეკლე პირველად არ გამოჰქომაგებია თავის შვილის შვილს, რადგან მაშინ 1783 წ. ტრაქტატი არ იყო კიდევ დადებული და ისე კი ვერ ჰბედავდა კუჩუქ-კაინარჯით ოსმალეთის საპროტექტორატოს შეხებას. როდესაც კი 1783 წ. ტრაქტატი შეიკრა, მაშინ დავით გიორგის ძე უკვე გამეფებული იყო... მაგრამ ამ დროს მისი საკუთარი ქვეშევრდომნი აიშალნენ, მცირე წლოვანი დავით არჩილის ძეც წამოიზარდა და იმერეთი ტახტის მაძიებელთა საწყეწავი გახდა... აბეზარს მოსულს ხალხში თანდათან განმტკიცდა აზრი ქართლ-კახეთის და იმერეთის ერთ სამეფოდ შეერთებისა. ეს აზრი გურიისა და ოდიშის მთავრებმაც მოიწონეს.. თბილისში ჩამოვიდნენ დელეგატებად არჩეულნი

[5]) ა. ცაგარელი. იქვე. ფ. 66.

ეპისკოპოსნი, სარდალი, სახლთ-უხუცესი, ფიცის კაცნი და სთხოვეს ერეკლეს: — „ ინებოს და შეიერთოს თვისად სამეფოდ იმერეთი, ვითარცა იყო ერთმთავრობის დროსაო“. [6]) ერთად ერთ პირობად იმას სთხოვდნენ ერეკლეს, — წელიწადი ორ საყოფელ დროთ გაჰხადეთ, ხან თბილისს ბრძანდებოდეთ და ხან ქუთაისსაო. ერეკლემ სახელმწიფო თათბირის დანიშვნა ბრძანა. ჩვეულებისამებრ, ვერ შესთანხმდნენ. დაბოლოს თვით ერეკლემ ასე გადასწყვიტა: „თხოვნას ამას ვერ მივიღებ; მტერი მადგას კარსა, დესპანნო, წარვედით და იმერთა გამოუცხადეთ, რომ დავსვამ იმერეთის ტახტზედ შვილის შვილსა ჩემსა და ესრეთის კავშირით თავით თვისით იქნება ერთობა იმერეთისა ქართლისა თანაო“.

მართლაც, როგორ შეეძლო ერეკლეს იმერეთის სამეფოს სრული გაუქმება, შემოერთება და ამით ოსმალეთის უფლებათა დარღვევა, როდესაც თვით მაშინდელი რუს-ოსმალოს ომი ჯერ კიდევ არ დასრულებულიყო და რუსეთის ბატალიონები კი კავკასიის იქით ისვენებდნენ... მაგრამ ერეკლემ მაინც გამოიყენა ხელსაყრელი გარემოება და ერთი დიდი ქვა ჩაუდო იმერეთ-ამერეთის ერთიანობის საძირკველს. მან თავის შვილისშვილს ქართლ-კახელთ ლაშქარი მიაშველა, გაამეფა იგი სოლომონ მეორის სახელის დარქმევით, დაუნათესავა და შეარიგა გრიგოლ დადიანს და ორივეს გურიელთან ერთად, როგორც ვასალებს, დაადებინა „ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან“ 1790 წელს თბილისში დამტკიცებული საკავშირო ტრაქტატი, რომელიც საქართველოს სახელმწიფო და საეროვნო პოლიტიკის ერთ უბრწყინვალეს ძეგლათ უნდა იყოს მიჩნეული...

---

[6]) იხილეთ პლ. იოსელიანის “ცხოვრება“, ფურც 18—21.

თავი მესამე.

საქართველოს გაერთიანება.

1790 წლის საკავშირო ტრაქტატის მკაფიო და მკვეთრი ენა იმას მეტყველებს, რომ ერთის სისხლით, ერთის ენით და ერთის რწმენით შეკრული საქართველოს სამეფონი და სამთავრონი ერთხმად აღიარებენ მეფე ერეკლეს გაერთიანებულ ზემო და ქვემო ივერიის „საზოგადო მამად“— სუვერენად, რომელიც არის ერთად ერთი „მწადნელი მოყვანებად მფარველობათა უავღუსტოესისა კარისა“, ე. ი. (რუსეთისა) „ვითარცა მხოლოდ მას აქვნდეს შეკრულებაო“... [4])

მართალია 1790 წლის აქტი რთულ სულიერ პროცესთა გარდმოცემაა; ისიც მართალია, რომ ამ აქტის იურიდიული ტერმინები არაა ზიარი ევროპის კონგრესთა რედაქციით შედგენილ საერთაშორისო ტრაქტატებისა, მაგრამ, თუ აქტის სიტყვების მაგიერ, მის აზრს გავყვებით bona fide კონტექსტის

---

[4]) 1790 წლის აქტი თითქმის უცნობია ქართველთა საპოლიტიკო მწერლობისათვის... თვით სპეციალისტებში მხლოდ პროფ. ალ. ცაგარელს, ა. ხელთუფლიშვილს, ს. გორგაძეს და განსვენებულ ალ. ხახანაშვილს აქვთ აღნიშნული ეს ტრაქტატი, ისიც უკომენტარიოთ... ბ-ნ ზურ. ავალიშვილის მონოგრაფიაში სრულებით არ არის ნახსენები 1790 წ. აქტი..

1790 წლის ტრაქტატი რომ მეფე ერეკლეს პოლიტიკის დედა-აზრს დოკუმენტობს: რუსეთის პროტექტორატით მთელ საქართველოს გაერთიანებას და დამოკიდებულებას,—ამას შარშანწინ ვსწერდი ჟურნალ „Національ. Проблем“—ში— № 1, 1915 წ.

კანონსაც ყურად ვიღებთ,—მაშინ უნდა აღვიაროთ, რომ 1790 წლის საკავშირო ტრაქტატი იმდაგვარივე ნაკვთია საერთაშორისო უფლების ნორმით შერთულ სახელმწიფოსი, (Staatenbund), როგორიც იყო, მაგალითად, გერმანეთის კავშირი 1815-იდან 1866 წლამდე... იმერეთ-სამეგრელო-გურიის მეფე-მთავარნი სწორეთ მით იღებენ ხელს თავიანთ სრულ სუვერენობაზე, მეფე ერეკლეს რომ ანდობენ თავიანთ საგარეო პოლიტიკას, სახელდობრ, რუსეთის პროტექტორატის შეძენას. ამიტომაც არის, რომ „ზემო და ქვემო ივერიის“ მეფე-მთავარნი ერთ-ურთშორის კი არა სწერენ ერთს საკავშირო ტრაქტატს, არამედ იმერეთ-გურია-ოდიშის მეფე-მთავარნი, სამივე ცალცალკე დაწერილ პირობით ეკვრიან მეფე ერეკლეს... ამგვარი აქტი ჰოჰენცოლერნისებურ ტრადიციას მოგვაგონებს... კიდევ უფრო შორს სჭვრეტდა ვიცე-კანცლერი, სოლომონ ლეონიძე, რომელიც, პლატონ იოსელიანის თქმით, „მრავლად დაშვრა, რათა მოეყვანა ერთობასა მტკიცესა ერთ ნათესაობა ქართველთა—მეცადინეობდა შინა კავშირითა გაეუქმებინა გარე კავშირიო“.. მაგრამ ქართლ-კახეთს არ დასცალდა ქართულ პრუსიის როლის აღსრულება ..

1790 წლის ოთხად დაწერილნი პირობანი, ხელმოწერილნი და ბეჭედ დასმულნი მეფეთა და მთავართა, მღვდელ-მთავართა და მოხელეთა მიერ, გამოაცხადეს ყოველგან... ასლი იმპერატრიცა ეკატერინე მეორეს წარუდგინეს საცნობლად, როგორც ამას მოითხოვს საერთაშორისო აქტების წარმოება... რუსეთს პროტესტი არ განუცხადებია და ამითვე დაადასტურა 1790 წლის აქტი...

გავიდა ერთი წელიწადი და 1791 წელს რუსეთ-ოსმალეთის მეორე ომიც დასრულდა; რადგან ომის დაწყების ერთ-ერთ მიზეზად რუსეთმა 1787 წელს ის გამოაცხადა, რომ ოსმალეთი, მიუხედავად 1783 წლის რუსეთ-საქართველოს საკავშირო ხელშეკრულობისა, მაინც დავიდარაბობს და სულთანის პროტექტორატსაც კი ურჩევს ქართლ-კახეთსო,—ამისთვის ქ. იასში რომ ზავყოფის ტრაქტატი დაიწერა, აქ —საქართველოც შეიტანეს; ამ ტრაქტატის მე-V მუხლით ოსმალეთი პირობა-

სდებს, საგანგებო ფირმანს გამოვცემ, რომ ახალციხის ფაშამ ქართლ-კახეთს თავი დაანებოსო...

გავიდა ორი წელი და 1793 წელს მეფე ერეკლე, თანახმად „ევერიელ მეფეთა და მთავართა დაკავშირებითი ტრაქტატისა, შუამდგომლობს ეკატერინეს წინაშე:—განავრცეთ რუსეთის პროტექტორატი მთელ საქართველოზედო:

„ადრიდგანვე უმაღლესი კარი უდიდ—სა თქვენისა ყოვლითა წერილითა და პირითა ელჩთათა ნიადაგ ვალდებულ გვყოფდა ამასზედა, რათამცა შეერთებულ ვიქმნეთ ჩვენ, მეფენი ყოვლისა ევერიისანი, რომლისათვისაც საუკუნოთა ამით ტრაქტატითა შეერთებულ იქმნა თანახმობა ჩვენ, მეფეთა და მთავართა ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისათა, ესრეთ მტკიცედ, ვითარ ესე ცხად არს ტრაქტატსა ამას შინა ერთგვარად შეერთებისა ჩვენისასა ამიერიდგან... ვითხოვთ, რათა არა განყოფილ იქმნას საუკუნოდ ერნი ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისა რუსთა იმპერიასა ზედა მიწერითა, და რათა მთელი ევერია იყოს მიწერილ იმპერიასა ზედა რუსეთისა ტრაქტატისა ამის ჩვენისაებრ მფარველობითა თქვენისა უავგუსტესისა კარისათა, და თუ ვითარ და რომლითა ღონითა იქმნების ესე, მოვანდობთ ყოველთა ქრისტიანეთა ზედა დედობრივსა კეთილ მზრუნველობასა უდიდებულესობისა თქვენისასა...

მეფე ქართლისა, კახეთისა და სხვათა ერეკლე.

მეფე სრულიად იმერეთისა და სხვათა სოლომონ.

მთავარი ოდიშისა და სხვათა გრიგოლ.

მთავარი გურიისა ვახტანგ.

მაგრამ მოხუცი ეკატერინეს ყური და თვალი დასავლეთისაკენ იყო მიპყრობილი... რევოლიუციით დამთვრალი საფრანგეთი მეფე ლიუდოვიკს თავსა სჭრიდა საგანგებოდ გაკეთებულ მანქანით... იმას წინად გაგლეჯილ პოლონეთში კოსციუშკოს შურის-ძიება მზადდებოდა.

საქართველოს კი ამ დროს საჭურისი აღა-მაჰმად-შაჰის ულვთო და უწყალო შურისგება ევლინებოდა... მას მერე, რაც ერეკლე რუსეთს დაუახლოვდა, სპარსეთი გადაემტერა საქარ-

თველოს... მანამ ირანის ტახტი შერყეული იყო, ერეკლეს შეხებას ვერვინ ჰბედავდა ; მაგრამ, როგორც კი ამ ტახტზე მჭლე აღა-მაჰმადი ავიდა, მაშინვე გარდასწყდა, ცეცხლითა და ძახვილით დამკვიდრებულიყო საქართველოში ის სპარსული პროტექტორატი, რომელიც სპარსულმა დიპლომატიამ ვერ იქნა, ვერ შეიძინა... აი, რას წერდა აღა-მაჰმად-ხანი ერეკლეს: — „რუსეთის საქმე და ცხოვრება ყოველ კაცს ვაჭრობა ბაგრასტისა და მაუდის სყიდვა არის, არას დროს იმათგან ხრმლისა, შუბისა და ომის იარაღის მოხმარება არას კაცს არ უნახავს. გაბედეს და ჩვენის ქვეყნების საზღვარში შემოვიდნენ, — ამათი გარდახდევინება და ამოწყვეტა ჩვენს მაღალ გონებაში გამოვისახეთ და ჩვენი ბედნიერი დროშები აქეთს მხარეს გამოემართა. იმ რუსებმა რომ გაიგონეს, თავიანთის საძაგლის ადგილებისაკენ დაბრუნდნენო... [4])

ამაოდ უხმობდა ერეკლე თავის სუვერენს — რუსეთს...

— „ხომ იცით, რომ ქართლი და იმერეთი სულ ერთია... ღმერთმა ნუ ინებოს, რომ ქართლი აღა-მაჰმადმა ხელში ჩაიგდოს“...[6]) — ასე სწერდა სოლომონ II-ც გეორგიევსკში მყოფ გუდოვიჩს... პეტერბურგი კი ამ დროს გუდოვიჩს იმას ურჩევდა, სოლომონი არ წააქეზო ერეკლეს შესაწევად, თორემ სტამბოლს არ იამებაო... თვით რუსებმა მეტად დააყოვნეს კავკასიის აქეთ გადმოსვლა... ვინ იცის, იქნებ, გუდოვიჩებსაც „უქართველო საქართველო“ უფრო მოსდიოდათ თვალში?..

არ დააყოვნა საკავშირო ტრაქტატით შეფიცულმა ქვემო ივერიამ... მეფე სოლომონი 5000 იმერელ მოლაშქრეთი, სარდალ ზურაბ წერეთლითურთ ჩამოვიდა ქართლში და გაჰყვა სპარსელთა დასახვედრად ერევნისკენ წასულ ერეკლეს.

---

[5]) ნახეთ ა. ცაგარელის „გრამოტები“ ტ. II. ნ. 1. ფ. 134,
[6]) იქვე წ. 2. ფ. 99.

იქიდან ორივე ერთად გამობრუნდნენ ჯარის სიმცირის გამო, გაშარჯვების უიმედონი .. 1795 წელს თფილისი შაჰის რისხვას შეეწირა... მხოლოდ მაშინ, როდესაც დედა-ქალაქის ქუჩები და ბანდები მოირწყვნენ ქართველთა სისხლით, დაიძრა ყუბანით რუსების ბატალიონები. და დაიწყო რუსეთისა და სპარსეთის ომი—pro Jveria...

ვალერიან ზუბოვის წინამძღოლობით, ქართველთა დახმარებით რუსს ზარბაზნებმა და შტიკებმა დაიპყრო საქართველოს მტერ-მეზობელი დერბენდი, შამახა, განჯა... მაგრამ მეზობელთა პოლიტიკურ საფლავებში საქართველოც ჩაიფლო... გენერალ კუროპატკინის თქმით, რუსეთმა საქართველოს გარემო მდებარე სახანოები რომ დაიპყრო, თავის ნებით შეერთებული საპროტექტორატო საქართველო იარაღით შემოერთებულ სამთავროებში მოემწყვდა და, ბოლოს, სამხედრო დამხმარე ოკუპაციანექსიად გადიქცა... მეფე ერეკლემ ვერ მიაღწია ამ ომის ბოლომდის. 1796 წელს გარდაიცვალა იგი, ოთხმოცდა ხუთის წლისა და ოთხმოცზე მეტი ბრძოლის ზიარი გარდატეხილი კვერთხებით მიასვენეს მეფის ცხედარი სახლთუხუცესებმა თელავიდან მცხეთაში... ორის წლის შემდეგ, 1798 წელს, იმპერატრიცა ეკატერინეც გარდაიცვალა... ისე მოკვდნენ სუვერენი და ვასალი, რომ ერთმანეთი არ უნახავთ, თუმცა მეფე ერეკლე მიწვეული იყო ყირიმში ეკატერინეს მოგზაურობის დროს.

ერეკლეს მემკვიდრედ სნეული გიორგი გახდა. თანხმად 1783 წლის ხელშეკრულობისა მან მიმართა რუსეთის ახალს იმპერატორს პავლეს ინვესტიტურისა და საეფო ნიშნებისათვის. ამავე დროს დაიწყო მოლაპარაკება ტრაქტატის გადასინჯვა-შევსებაზე, რაიც ორივე მხრის შეთანხმებით ნაკარნახევი დართული იყო ხელშეკრულობის მეთორმეტე მუხლით. მაგრამ ტრაქტატის ახალი პროექტი, ეგრედ წოდებული „პუნქტები“, პროექტადვე დარჩა, რადგან მეფე გიორგი მოლაპარაკების დასრულებამდე გარდაიცვალა. ამპერატორმა პავლემ კი წინაალმდეგ 1783 წ. ტრაქტატისა გადასწყვიტა პირდაპირ „შემოერთებინა“ საქართველო და რუსეთის გუბერნიად ექცია იგი.

1801 წლის იანვრის 18 პეტერბურგში გამოცხადდა საქართველოს რუსეთთან შეერთების მანიფესტი. თფილისში ეს მანიფესტი ქართველთა ამბოხების შიშით მხოლოდ ერთის წლის შემდეგ გამოაცხადეს. მაშინაც კრებაზე მოწვეულ თავად-აზნაურობას, სამღვდელოებას და წარჩინებულ მოქალაქეთ გენერალი კნორინგის რუსის ჯარი ერტყა გარს და ძალას ატანდა ხალხს, რუსეთის მეფის ერთგულების ფიცი მიეღო.

ასე, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, ევროპის ეროვნულ სახელმწიფოთა აღდგენის წინ მოტრიალდა ერთი ბორბალთაგანი საქართველოს სახელმწიფოებრივობის ბედის ღერძისა.

იმერეთმა იკისრა ვითომც საქართველოს სახელმწიფოებრივობის აღდგენა და განგრძობა, მაგრამ სამხედრო და საფინანსო მძიმე ტვირთი ვერ აიტანა, მოსტყდა და ერეკლე მეფისაგან ნაჩვენებ გზას მიჰყვა.

რუსეთმა საქართველოს მიმართ უკრაინის „შემოერთების“ ისტორია განიმეორა, იმ უკრაინისა, რომელიც აგრედვე ხელშეკრულობით დაენდო რუსეთს.

რუსეთის მიერ საქართველოს „შემოერთება“ ნამდვილი ანექსია იყო პატარა სახელმწიფოსი ძლიერი პროტექტორის მიერ. ამ ანექსიის წინააღმდეგ თავის დროზე პროტესტი განაცხადეს ევროპის სახელმწიფოებმა, როგორც საფრანგეთმა, ისე ინგლისმა: 1807 წელს თავის ელჩის გარდანის პირით ნაპოლეონი სპარსეთთან დაკავშირებას ცდილობდა რუსეთის წინააღმდეგ; სამაგიეროდ ნაპოლეონი იმას ჰპირდებოდა სპარსეთს, რუსეთს საქართველოს საზღვრებიდან გავაძევებო. ამასვე შეჰპირდა სპარსეთის შაჰს საფრანგეთის მეტოქე ინგლისი, თავის ნიჭიერი დიპლომატის, მალკოლმის პირით... მაგრამ ნაპოლეონის ომებმა ისე მოჰღალეს ევროპა, რომ რუსეთმა შესძლო საქართველოს ანექსიის შენარჩუნება.

ევროპა მაინც ვერ შეურიგდა ბოლომდის საქართველოსა და „კავკასიის“ ანექსიას. მაგალითად, როცა 1835 წელს რუსებმა სოხუმში სამხედრო იარაღით მიმავალი ინგლისური გემი „Vixen“-ი დააკავეს, ინგლისმა კინაღამ ომი გამოუცხადა რუ-

სვეს: ცნობილი პალმერსტონი დაჟინებით ამტკიცებდა, კავკასია რუსეთის კანონიერი სამფლობელო არ არის და რუსებს უფლება არ აქვთ მისი მართვა გამგეობისაო *). ამ პროტესტების გამოძახილი არის ის ფაქტი, რომ არც პარიზისა და არც ბერლინის ტრაქტატით კანონიერი მფლობელობა რუსეთისა საქართველოში აღიარებული არ არის.

ამიტომ არის რომ საერთაშორისო უფლების მცოდნე პირები, მაგალითად პროფესორი ერნესნისი ასე ახასიათებენ რუსეთის ბატონობას საქართველოში.

La domination du gouvernement russe en Céorgie est injuste dans son principe et dans ses origines historiques; elle est basée sur la fraude; pendant, tout un siecle elle s'est exercée d'une maniére cruelle et tyrannique.

Les Géorgiens sont un état de révolte legitime.

---

*) Ф. Мартенсъ, Россія и Англія... (Вѣстникъ Европы. 1898 II.)

დასკვნა.

ისტორია სასამართლო კი არა, მხოლოდ პოლიტიკის აკადემია არის. საქართველოს ისტორიული განგების ხელი სწორედ იმით სჩანს, რომ ერეკლე მეფის პოლიტიკის დედააზრი—რუსეთის პროტექტორატით საქართველოს გაერთიანება მაინც განხორციელდა... ერეკლეს მემკვიდრე გიორგიც იმას სასოებდა, რომ „ რუსთა მთავრობით განმტკიცდეს მშვიდობა, დაეცხროს მტერი შინა და გარე, მოვიძიოთ საზღვარი ძველი, განახლდეს ვაჭრობითი ერთობა, ვითარცა ძველად ეგვიპტესა და ბაღდადისა, სამარყანისა და ინდოეთისა, აყვავდეს სწავლა და ხელოვნება. და ესრეთ სიმდიდრესა, ერთა სიმრავლესა და ქართველთა თემთა და ტომთა ერთობითა განახლდეს ვითარცა ორბისა სიჭაბუკეო!!..."

ყოველივე ეს აღსრულდა; პლატონ იოსელიანის სიტყვებით: განგებამან ღვთისამან ჰქმნა ის, რომ რუსთა ძალით დამშვიდდნენ მთისა მცხოვრებნი, თემნი თვით ქართველთა სახელმწიფოისა დაგლეჯილნი და დანაწილებულნი გაუქმდნენ და მცხოვრებნი თემთა ამათ: იმერელნი, მეგრელნი, გურულნი, სვანნი და სამცხენი შეიქმნენ და იწოდნენ ქართველებათ... განგება ღვთისა რუსთავე ძალითა მოიყვანს ერთობასა ქობულეთსა, აჭარასა და ლივანასა ჯერეთაც თურქთაგან პყრობილსაო—წინასწარიმეტყველა ჩვენმა მესიანისტმა... ესეც აღსრულდა...

დღეს მთელი ისტორიული, ეთნოგრაფიული და ბუნებრივი, მთელი სამაჰმადიანო და საქრისტიანო საქართველო გაერთიანებულია ერთ სახელმწიფოებრივ საზღვრებში... დავით აღმაშენებლისა და თამარის შემდეგ, არასოდეს არ ყოფილა საქართველო ასე გამრავლებული, ასე გამდიდრებული და ასე გაერთიანებული

გრძნობით, აზრით და ნებით ასე ჭაბუკი... ჩვენს თვალწინ სრულდება დიდი ისტორიული ციკლოსი სპარსეთ-ოსმალეთ-რუსეთისა, საქართველოს ბედითი პოლიტიკას რომ სჭედდა მე-XV საუკუნედან დაწყებული, ვიდრე დღემდე... ამ პოლიტიკაზე სწერდა ნიკო ნიკოლაძე: „სანამ ოსმალოს და სპარსეთის ადგილს რომელიმე სხვა რასა ან სახელმწიფო არ დაიჭერს, საქართველოსთვის არავითარი სხვა პოლიტიკა არ არსებობს იმის გარდა, რომლითაც ხელმძღვანელობდენ იძულებით საქართველოს უგონიერესი პატრონები: ალექსანდრე კახელი, ალექსანდრე იმერელი, ვახტანგ კანონმდები, თეიმურაზ მეორე, დიდი ერეკლეო.“

ამ ომის დროს მრავალი სახელმწიფო დაიშალა და მრავალი ახლა სდგება მკვდრეთით...

თუ მოპირდაპირე კოალიციათა: გერმანეთ-ავსტრიისა და ინგლის-ამერიკის ბრძოლამ სპარსეთთან ერთად ოსმალეთიც დაშალა ანდა რუსეთიც და სხვა სახელწიფოებრივი ძალები დაგვიმეზობლდა, მაშინ „ქართლის ცხოვრების მიმართულება“ ორიენტაციაც შეიცვლება. მხოლოდ რა ორიენტისაკენაც არ უნდა გაიხედოს საქართველომ, ჩვენთვის არ შეიცვლება წინაპართაგან ნაანდერძევი პოლიტიკა, რომლის დედა-აზრი მეფე ერეკლეს მიერ რუსეთთან დადებულ ტრაქტატით და ქართლ-კახეთ-იმერეთ-გურია-სამეგრელოს ხელშეკრულობით არის ნაკარნახევი: <u>საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობა, ძლიერი სახელმწიფოს კავშირით უზრუნველყოფილი.</u>

თბილისი, 1918 წლის იანვარის 1.

დამატებანი.

1783 წლის ტრაქტატი
ქართლ-კახეთისა და რუსეთის შორის დადგენილი. *).

არა ერთგზის მიურთმევიათ თხოვნა ტახტისადმი ყოვლისა რუსეთის თვითმპყობელთასა ჩვენთა, მეფესა ქართლისა და კახეთისათა; ხოლო მსგავსად მათსა ტახტისადმი აწ ბედნიერად მმეფობისა იმისის იმპერატორების დიდებულებისა ეკატერინა მეორისა, იმპერატრიცასი და თვით-მპყრობელისა ყოვლისა რუსეთისა: მოსკოვისა და სხვ. (როგორც ქვემოთ არის ჩამოთვლილი) მივართვით უმდაბლესი თხოვნა ჩვენ, ი რ ა კ ლ ი მ ე ო რ ე მ ა ნ, მეფემან ქართლისა და მეფემან კახეთისა და სხვ. (როგორც ქვემოთ არის ჩამოთვლილი) მიღებისათვის ჩვენისა და მონაცვალეთა ჩვენთასა მფარველობასა ქვეშე იმისის იმპერატორების დიდებულებისასა, და აღსარებისათვის ჩვენ კერძო უზენაესისა ხელმწიფებისა მისისა და მენაცვლეთა რუსეთის საიმპერატორო ტახტისათა ქართლისა და კახეთისა მფლობელთა ზედა და უკანასკნელ მივიღევით იმისის იმპერატორების დიდებულებისაგან მოწყალებითი ნება ამასზედა, რომელსაცა დასამტკიცებლად ცხადითა და ორივე კერძოითა მსგავსითა განწესებითა აღვარჩიეთ და სრულისა-ძალისა-მქონებელ ვჰყავით ჩვენ კერძო საყვარელნი და ერთგულნი ყმანი: კნიაზი იოვან კოსტანტინოვიჩი ბაგრატიონი, მხედრობისა ჩვენისა მემარცხენე სპასპეტი, რომელსაცა აქვნ რწმუნებულ საქმენი ერევნისანი, და კნიაზი გარსევან რევაზოვიჩი ჭავჭავაძე, ჩვენი მანდატურთ-უხუცესი და ზედამ-

---

*) Полное Собраніе Законовъ Росс. Имперіи. Т. XXI. Спб. 1831; стр. 1013 – 1017.)

ხედველი ყაზახისა სამთავროისა, რომელთათვისცა მიგვიცია სრული-მინდობილი, რათა მისისა იმპერატორების დიდებულებისაგან განწესებულთა სრულის-ძალის-მქონებელთა თანა: რაიცა განაწესონ, დაამტკიცონ და მოაწერონ ტრაქტატთა მფარველობისათვის ჩვენ ზედა მ—ს იმპ—ს დ—ს და მაღალთა მენაცვლეთა მისთასა, და ჩემმიერ აღსარებისათვის უზენაესისა ხელმწიფებისა ყოვლისა რუსეთის თვით-მპყრობელთასა ქართლისა და კახეთის მეფეთა ზედა აღვსთქვამ ჩვენისა მეფობითისა სიტყვითა, რომ კეთილად მივიღებ და უჭველად აღვასრულებ ყოველსა მას, რაიცა კნიაზ იოვანე ბაგრატიონისა და კნიაზ გარსევან ჭავჭავაძისაგან, ძალითა აწინდელისა სრულისა ძალისა-მქონებლობისათა, აღითქმიან, განიწესებიან და მოიწერებიან,—ესრეთვე მიეცემისცა ამათზედა რატიფიკაცია ჩვენი განწესებულსა დროსა, რომელისაცა დასაწუნებლად ამას სრულსა-ძალსა ჩვენ საკუთრითა ხელითა ჩვენითა მოვაწერეთ და უბრძანეთ დამტკიცებად სამეფოითა ბეჭდითა ჩვენითა. მიეცათ სამეფოსა ქალაქსა ჩვენსა თ ფ ი ლ ი ს ს, ივნისის 28 დღესა, წელსა შობითგან ქრისტესით 1783, ოცდა მეათცხრამეტესა წელსა მეფობისა ჩვენისასა.

ე რ ე კ ლ ე.
თავადი დავით ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი
თავადი ქაიხოსრო ჩ ო ლ ა ყ ა შ ვ ი ლ ი.

ყოვლად უგანათლებულესი უთვით მპყრობელესი დიდი ხელმწიფე იმპერატრიცა ე კ ა ტ ე რ ი ნ ა ა ლ ე ქ ს ი ე ვ ნ ა, მპყრობელი ყოვლისა რუსეთისა: მოსკოვისა, კიევისა, დიმირისა, ნოვოლოროდისა, მეფე ყ ზ ნ ი ს ა, მეფე სიბირისა, ხელმწიფა პსკოვისა და დიდი მთავრ ნა სმოლენსკისა, მთავრინა ესტლანდიისა, ლიფლანდიისა, კორელისა, ტვერისა, იუღორსკისა, პერმსკისა, ვიატკისა, ბოლღარიისა და სხვ თა, ხელმწი-

ფა და დიდი-მთავრინა ნოვოღოროდისა, ნიზოვისა ქვეყანათა, ჩერნიგოვისა, რეზანისა, როსტოვისა, იაროსლავისა, ბელოზერისა, უღორისა, ობდირისა, კონდიისა და ყოვლისა ჩრდილოეთისა კერძოთა, მბრძანებელი, და ხელმწიფა ივერიისა ქვეყანისა, ქართლისა და საქართველოსა თავადთა და ყაბართოს ქვეყნისა, ჩერქეზთა და მთიულთა თავადთა და ლხვათა.

მემკვიდრე ხელმწიფე და მფლობელი ირაკლი მეორე წყალობითა ღვთისათა და თქვენის იმპერატორების დიდებულების კეთილ-ნებობითა მეფე ქართლისა, კვლამეფე კახეთისა, მემკვიდრე მფლობელი სამცხე საათაბაგოსი, მთავარი ყაზახისა, მთავარი ბორჩალოსა, მთავარი შამშადილისა, მთავარი კაკისა, მთავარი შაქისა და მთავარი შირვანისა, მფლობელი და მბრძანებელი განჯისა და ერევნისა.

თქვენმა იმპერატორებისა დიდებულებამან მიიღო ყოვლად უმოწყალესობით თხოვნა ჩვენი უსამღვდელოესისადმი საყდრისა თქვენისა მოართმეული მიღებისათვის ჩვენი'ა და მონაცვალეთა ჩვენთასა ყოვლითა სამეფოთა და სამფლობელოთა ჩვენითა ყოვლად უმაღლესსა მფარველობასა შინა თქვენსა და მენაცვლეთა საყდრისა თქვენის იმპერატორებისათა აღსარებითა კერძოით ჩვენით უზენაესისა ხელმწიფისა ყოვლისა რუსეთისა იმპერატორთასა მეფეთა ზედა ქართლისა'ა და ყოველთა ზედა სამფლობელოთა მათთა, მონარხობითი'ა თქვენითა ჩვენდამო წყალობითა და მოწყალებითა ინებეთ დამტკიცება ახლითა წინდითა, რომელიცა დამტკიცდა თქვენის იმპერატორების დიდებულების სრულის-ძალის-მქონებლისაგან და ჩვენმიერთა სრულის-ძალის-მქონებელთაგან დღესასწაულობითითა პირობითა, რომელნიცა არიან აქა შემოხმულ ლექსითი ლექსად.

სახელითა ღვთისა ყოვლისა შემძლებელისა, ერთისა, სამწმიდაობასა შინა დიდებულისათა!

ადრითგან ერთმორწმუნეობამან ყოვლისა რუსეთისა იმპერიისათანა ქართველთამან ჰმსახურათ მფარველობითა, შემწეობითა შესავედრებლობითა მათ ერთათა და უკანათლებულესთა მათთა მფლობელთათა წინააღმდგომად მაჭირვებელთა, რომელთაცა ქვეშეშევრდომილ იყვნენ იგინი მეზობელთაგან თვისთა; მფარველობამან ყოვლისა რუსეთისა თვით-მპყრობელთაგან მეფეთა მიმართ საქართველოისათა, ნათესავთა და ყმათა მათთადმი მინიჭებულმან გამოიყვანა მოკიდულებაი იგი უკანასკნელთა ამათ პირველთა მათგან, რომელიცა უფროსლა იჩვენების რუსეთის საიმპერატოროსა ტიტლოსაგან. აწ ბედნიერად მმეფობმან იმპ—ბისა მ—სისა დიდ—მან ცხად უყო ერთა ამათ ნამდვილითა სახითა მონარქობითი თვისი კეთილნებობა და დიდ-სულობითი მსურველობა კეთილობისათვის მათისა თვისითა ძლიერითა მეცადინეობისა მართვითა განთავისუფლებისათვის მათისა უღლისაგან მონებისა და საყვედრელისაგან ტყვედმიხდისა ვაჟთა და ქალთა, რომლისაცა რომელნიმე ერნი ამათგანნი მიცემად შეკრულ იყვნეს, და განაგრძელებს თვისსა მონარხობითსა მოხედვასა მფლობელთა მათდამი, — ჰაზრთათა ამით სიმდაბლედ შთამოსულმან თხოვნასა ზედა უგანათლებულესისა მეფისა ქართლისა და კახეთისა ირაკლი თეიმურაზოვიჩისა, რომელიცა მოღებულ იქმნა ტახტისადმი მისისა დიდებულებისა მიღებისათვის ყოვლითა მემკვიდრითა და მენაცვლითა თვისითა და ყოვლითა სამეფოითა და სამფლობელოითა თვისითა მონარხობითსა მფლობელობასა ქვეშე მისისა დიდებულებისასა და მაღალთა მემკვიდრეთა მისთა და მოსაყდრეთა უზენაეს ხელმწიფედ აღსარებითა ყოვლისა რუსეთის იმპერატორთა მეფეთაზედა ქართველთა და კახეთისათა, ყოვლად უმოწყალესობით ინება აღდგინება და დამტკიცება მეგობრობითისა პირობისა ხსენებულისადმი უკანათლებულესისა მეფისა, რომლისაცა ღონედ ერთკერძო უგანათლებულესობა მისი

სახელითა თვისითა და თვისთა მონაცვალეთათა აღიარებს უზენაესსა ხელმწიფობასა და მფარველობასა მისისა იმპ—ს დიდ—ისასა და მაღალთა მოსაყდრეთა მისთა მფლობელთა ზედა და ერთა სამეფოისა ქართლისა და კახეთისათა, და სხვათა სამფლობელოთა შესაბამთა მათდამი, რათა დანიშნულ ჰყოს დღესასწაულობითა და ნამდვილითა ხატითა შეკრულება თვისი განსჯითა ყოვლისა რუსეთისა იმპერიისა თანა; ხოლო მეორით კერძო დიდებულება იმპ—ბისა მისისა ესრეთვე შემძლებელ არს, რათა დანიშნულ ჰყოს დღესასწაულობით — თუ ვითარი აღმატებულებაი და სარგებელი მიენიჭების მოწყალისა და ძლიერისა მარჯვენისაგან მისისა ხსენებულთა ერთა და უგანათლებულესთა მფლობელთა მათთა. დასამტკიცებლათ ესე ვითარისა პირობისა ინება დიდებულებამან იმპ—სა მის—მან სრულისა ძალისა მქონებლად უგანათლებულესი კნიაზი იმპერიისა ჰრომაულისა გ რ ი გ ო რ ი ალ ე ქ ს ა ნ დ რ ო ვ ი ჩ ი პ ო ტ ე მ კ ი ნ ი, მხედართა თვისთა ღენერალ ანშეფი, მბრძანებელი სუბუქისა ცხენოსნისა განსწავლულისა და განუსწავლულისა, და სხვათა მრავალთა სამხედრო ძალთა, სენატორი, სახელმწიფოისა სამხედროისა კოლლეღიისა ვიცპრეზიდენტი, ასტრახნისა და სარათოვისა, აზოვისა და ნოვოროსიისა მოადგილე ხელმწიფისა, ღენერალ-ატუტანტი თვისი და დეისტვიტელნი კამერღერი, კავალერ-ღვარდიისა კორპუსისა პორუთჩიკი, ლეიბღვარდიისა პრეობრაჟენის პოლკის პოდპოლკოვნიკი, უპირველესი მთავარი პალატისა სამჭურველისა ხელოვნებისა, კავალერი ორდენთა: წმიდისა მოციქულისა ანდრეასი, ალექსანდრე ნევსკისა, სამხედროსა წმიდისა დიდისა მოწამისა გიორგისა და წმიდისა მოციქულთა სწორისა ვლადიმირისა დიდთა ჯვართა, კოროლთა პრუსიისა შავისა და პოლშისა თეთრისა არწივისა, და წმიდისა სტანისლავისა, შვეციისა სერაფიმთა, დაკკისა სპილოისა და ღოლსტინიისა წმიდისა ანნასი, — ესე ვითარითა ხელმწიფებითა, რათა არყოფისა მუნ თვისისა აღირჩოსმცა ნებითა თვისითა სრულისა-ძალისა-მქონებლად ვისცა კეთილად განსაჯოს მან; რომელმან რომლისათვის აღირჩია და

სრულითა-ძალითა მქონებელ ჰყო მაღალმსვლელი უფალი მისის იმპ—ის დ—ს არმიის ღენერალ-პორუთჩიკი, ასტრახნის ღუბერნიის მხედრობისა მოკამანდე, მ—ს იმპ—ს დ—ს დეისტვიტელნი კამერგერი და ორდენთა რუსეთისათა წმინდისა ალექსანდრე ნევსკისა, სამხედროსა დიდის მოწამის და ძლევაშემოსილის გიორგისა და გოლსტინიის წმიდის ანნას კავალერი პავლე სერგიევიჩი პოტემკინი.

ხოლო უგანათლებულესობამან ქართლისა და კახეთისა მეფისა ირაკლი თეიმურაზოვიჩისამან აღირჩია და სრულითა-ძალითა ჰყვნა კერძოით თვისით ბრწყინვალენი: სამხედროისა თვისისა მემარცხნე სპასპეტი კნიაზი თავადი იოანე კონსტანტინოვიჩი ბაგრატიონი და მისის უგანათლებულესობისა თავადი გარსევან ჭავჭავაძე, მანდატურთ უხუცესი.

ხსენებულთა მათ, სრულისა-ძალისა-მქონებელთა და შეწევნითა ღვთისათა საქმისა მიმართ მიწევნილთა ნაცვლის მგებელთა სრულისა-ძალისა-მქონებლობისა მიერ, მებრ ძალისა მათისა, დაადგინეს და დაამტკიცეს, და მოაწერეს შემდგომთა ატრიკულთა, ანუ წევრთა:

ARTIKULI PIRVELI.

უგანათლებულესობა მისი, მეფე ქართლისა და კახეთისა სახელითა თვისითა, მემკვიდრეთა და მენაცვალეთა თვისთა დღესასწაულობით უკუნსთქვამს ყოველსა ვალობასა, ანუ ვითარსამე ტიტლოსა ყოვლისაგან მოკიდებულებისა სპარსთასა, ანუ სხვათა მპყრობელსათა და ამით ცხად ჰყოფს წინაშე პირსა ყოვლისა სოფლისასა, ვითარმე არა შერაცხს იგი თვისზედა და მენაცვალეთა თვისთა ზედა სხვასა თვითმპყრობელსა თვინიერ უზენაესისა ხელმწიფისა და მფარველობისა მ—ს იმპ—ს დ—სა და მაღალთა მისთა მემკვიდრეთა და მონაცვალეთა სამღვთოისა ტახტისა ყოვლისა რუსეთისათა, აღთქმელი ტახტისა ყოვლისა რუსეთისა, აღმთქმელი ტახტისა მის ერთგულებისა და მზაყოფისა შეწევნისათვის სარგებლისა სახელ-

მწიფისა ყოველსა შინა შემთხვევასა და დროსა, სადაცა ესე ითხოვებოდეს მისდამი.

არტიკული მეოთხე.

დ—ბა იმპ—ისა მისისა მიმღებელი უკ—ვან მისისა ესოდენისა უზაკველისა აღთქმისა, აღსთქვამს თანასწორადვე და იმედეულ ჰყოფს იმპერ—ბითა სიტყვითა თვისითა თავისა თვისისათვის და მოსაყდრესა თვისთათვის, ვითარმედ მოწყალება და მფარველობა თვისი უგ—სთა მეფეთა ქართლისა და კახეთისათა აროდეს მიღების, რომლისაცა დასამტკიცებლად დიდებულება მისი აძლევს იმპ—ებრსა თავსმდებობასა თვისსა მთლად დაცვასა ზედა აწინდელთა სამფლობელოთა მისისა უგ—სა მეფისა ერეკლე თეიმურაზოვიჩისათა და წინადასდებს განვრცელებასა ესე ვითარისა თავსმდებობისა ესე გვარსა სამფლობელოსა, რათა რომელნიცა წარმდინარეობასა შინა დროთასა გარემოებითა და განრჩევითითა ხატითა შესაბამად სამფლობელოსა მისისა იპოვებიან, პოვნილნი იგი სამფლობელოსა მისისა მიმართ დაიმტკიცებიან.

არტიკული მესამე.

განცხადებასა შინა ამის უზაკველობისასა ვითარითა ხატითა უგ—ბა მისი მეფე ქართლისა და კახეთისა აღიარებს უზენაესსა ხელმწიფებასა და მფარველობასა ყოვლისა რუსეთისა მფლობელთასა განიწესების: ვითარმედ ხსენებულნი იგი მეფენი ოდეს იგი მიიწევიან მემკვიდრეობით სამეფოსა ზედა მათსა, მსწრლაფ აუწყებდენ ამისთვის კარსა საიმპ—როსა რუსეთისასა და ითხოვდნენ დესპანთა თვისთა მიერ სამეფოსა ზედა თვისსა იმპ—ებრსა დამტკიცებასა ინვესტიტურისა წერილითა, ესე იგი არს ბოვრავი (?), ანუ დროშა ყოვლისა რუსეთისა ღერბითა, მქონებელი საშუალ თვისსა ჰხსენებულთა სამეფოთა ღერბისა, ხრმალი, კვერთხი საბრძანებელი, მანტია, ანუ წარმოსასხმელი ყარყუმისა. ნიშანნი ესე ანუ დესპანთა

ერწმუნების, ანუ მესამზღვრეთა მთავართა ძლით მიიწევის მეფისადმი, რომელიცა მიღებასა ზედა მუნდასწრებითა რუსეთისა მინისტრისათა თანამდებ არს, რათა იფიცოს დღესასწაულობით ერთგულობისათვის და გულსმოდგინებისა იმპერიისა რუსეთისა და უზენაეს შერაცხისათვის ხელმწიფებისა და მფარველობისა ყოვლისა რუსეთისა იმპერატორთასა ესე ვითარითა ხატითა ვითარცა დადებულ არს ფიცი იგი არტიკულთა ამათ თანა. წესი ესეთანა აძს აღსრულებად უგანათლებულესსა მეფესა ქართლისა და კახეთისა ირაკლის თეიმურაზიჩსა.

არტიკული მეოთხე.

დამტკიცებისთვის ვითარმედ ჰაზრი მისისა უგ—ბისა განსჯითა ესოდენ მჭირსისა შეერთებისა ყოვლისა რუსეთისა იმპერიისათანა და აღსარებისათვის უზენაესისა ხელმწიფებისა ყოვლად უუბრწყინვალესის ამის იმპერიისა მფლობელთასა, ვითარმედ არიან უზაკველ, აღსთქვამს უგ—ბა მისი, რათა უწინარეს თანხმობისა უპირველესისა მესაზღვრისა მთავრისა და მინისტრისა მ—სის იმპ—ის დიდებულების ჰრწმუნებულისა არა აქვნდეს მიწერმოწერაი გარემოთა მფლობელთა მიმართ, ხოლო ოდეს იგი მოვალნნ მათ მიერ დესპანნი, ანუ წერილნი, ჰყოფს განზრახვასა უპირველესისა მიმართ მესამზღვრისა მთავრისა და მინისტრისა მ—სისა იმპ—ბის დ—სა უკუქცევისა თვის დესპანთასა და შესაფერისათვის სიტყვისგებისა მფლობელთა მათმიერ.

არტიკული მეხუთე.

რათა ადგილათ აქვნდესმცა ყოველივე იგი საჭირო მიწერა მოწერა და თანხმობა რუსეთისა საიმპ—როისა კარისა თანა, ჰსურს ამისთვის უგ—სა მისსა მეფესა ირაკლის, რათა ჰყვისმკა წინაშე კარისა მის მინისტრი, ანუ რეზიდენტი; ხოლო დიდებულებსა იმპ—სა მისისა, მიმღებელი მისი, აღსთქვამს, ვითარმედ იგი კარსა ზედა მისსა მიღებულ იქნების რიცხვსა შინა სხვათა მფლობელთა მინისტრთა თანასწორითა ნიშნით

თვისითა, და გარდა ამისსა ჰნებავს, რათა კერძოითცა თვისით ჰყვესმკა მინისტრი რუსეთისა წინაშე მისისა უგ—ბისა.

არტიკული მეექვსე.

დიდებულება იმპერატორებისა მისისა მიმღებელი კეთილნებობით აღსარებისა უზენაესისა ხელმწიფებისა და მფარველობისა სამეფოსა ზედა ქართლისა, კახეთისა და საქართველოისათა, აჰლსთქვამს სახელითა ღვთისათა და მოსაყდრეთა თვისთათა: პირველად, ერთა მის სამეფოისათა შერაცხს ყოფად მჭირსითა კავშირითა სრულებით თანახმად იმპერიისათანა თვისისა, მაშასადამე, მტერთაცა მათთა შეჰრაცხს მტრად თვისსა, რომლისთვისცა პორტის ათამანისათანა, ესე იგი ხონთქრისა, ანუ სპარსეთისა, ანუ სხვათა მპყრობელთა და სამფლობელოთათანა მშვიდობა დამტკიცებული სათანადო არს, რათა განგრძელდეს დიდებულებისა მისისა და საფარველთა ერთაცა ამათ ზედა;მეორედ, უგ—სსა მეფესა ირაკლის თეიმურაზოვიჩსა და სახლისა მისისა მემკვიდრეთა და ტომთა დაიცავს უცვალებელად სამეფოთა ზედა ქართლისა და კახეთისათა; მესამედ, შინაგანთა ხელმწიფებისა მმართველობასა თანაშეუღლითა მსჯავრსა და სამართალსა, და შეკრებასა ჭისაცემელისა ხარკისასა დაანებებს მისსა უგანათლებულესოასა მეფესა სრულსა შინა ნებასა და სარგებლობასა მისსა, და დაყენებს მთავართა სამხედროსა და სამოქალაქოსათა აღრევად ვითარისაცა იყო განწესებაი ერთა მათ ხსენებულთა.

არტიკული მეშვიდე.

მისი იგი უგ—ბა მეფე, ღირსთანაშდებობითითა რძალულებითა მიმღებელი ესოდენ მოწყალებითისა იმედოვნებისა მისისაგან იმპ—ს დ—სა, აჰლსთქვამს თავისა თვისისა და ტომთა თვისთათვის: პირველად, რათა იყოს ნიადაგ მზა სამსახურსა ზედა მ—სა დ—სა მხედრობითა თვისითა; მეორედ, მთავართადმი რუსეთისათა, რათა იქცეოდესმცა სამარადისო-

ითა მიწერ-მოწერითა რაიცალა თვისეყვის მისისა იმპ—ს დ—ისა სამსახურსა, და ხმაჰყოფდეს თხოვათა მათთა, და ყმა თა მისის დ—ისათა სცვიდეს ყოველთაგან განსაცდელთა და შეიწროებათა; მესამედ, განწესებასა შინა კაცთასა თვისთა სამფლობელოისათა ადგილთა ზედა და აღყვანებასა ზედა მათსა ხარისხთა შინა, ანუ აღსავალთა რომელთამე, რათა უსაკუთრესად იჩვენოსმცა უდიდესობაი მ'ახურებისათვის რუსეთის იმპერიისა,—ესე ვითარსა პატივისცემასა ზედა მოკიდულ არს განსვენება და ბედნიერება ქართლისა და კახეთისა სამეფოსაი.

არტიკული მერვე.

დასამტკიცებლად უსაკუთრესისა მონარხ ულის კეთილნებობისა მისის უგანათლებულესობისა მეფისადმი და ერთა მიმართ მისთა, და უმეტესისა შეერთებისა რუსეთისა თანა ამათ ერთმორწმუნეთა ერთა თანა, ინებებს მისი იგი დიდებულება, ვითარმედ კათალიკოზსა, ანუ უმთავრესსა არ.ხიეპისკოპოზსა მათსა, რათა აქვნდეს ადგილი რიცხვთაშორის მღვდელ-მთავართასა მერვესა შინა ხარისხსა, ესეიგი არს შემდგომად ტობოლსკისა, და ყოვლად უმოწყალესობით მიუბოძებს მას ნიადაგ ტიტლოსა უწმინდესისა სინოდის ჩლენობისასა, ხოლო მართებისათვის საქართველოისა ეკლესიათასა და მიწერ-მოწერათასა, თუ ვითარი სათანადო არს რუსეთისა სინოდისადმი,—ამისთვის უკუ დაიწერების სხვა არტიკული.

არტკული მეცხრე.

განვრცელებისათვის მოწყალებისა თვისისა ყმათადმი მისისა უგანათლებულესობისა მეფისათა, თავადთა და აზნაურთათვის, განაწესებს დ—ბა იმპ—სა მისისა, ვითარმედ ყოველნი იგი ყოველსა შინა ყოვლისა რუსეთისა იმპერიასა იქნებიან ესრეთ მსარგებლებელ ყოვლითა მით უპირველესობითა და სარგებლობითა, რომელნიცა შეეფერებიან რუსეთისა კეთილშობილთა. ხოლო უგ—ბა მისი მიიღებს მადლობით

ესოდენ მოწყალებითსა ყმათადმი მისთა სიმდაბლით შთამოსვლასა და შეიკრვის წა<ბ>გზაენად კარისადმი მისისა დიდ—ბისა ნუსხასა კეთილშობილთა გვართასა, რათამცა მით შესაძლებელ იყოს ცნობა ნამდვილი ზედმიწევნილობაი—თუ რომელსა ვითარიმე ეშესაბამების სამართალი.

არტიკული მეათე.

განიწესების, ვითარმედ ყოველნი საზოგადოდ შობილნი ქართლისა და კახეთისანი შემძლებელ არიან რუსეთსა შინა დასახელებად და კვალად უკუქცევადვე დუყოვნებლად; ხოლო ტყვენი, უკეთუ საჭურველითა, ანუ გამოხსნითა რომლითამე თურქთაგან და სპარსთა, ანუ სხვათა ერთაგან განთავისუფლდიან, რათა განტევებულ იქმნენ ქვეყანასა თვისსა, წადილსაებრ თვისისა. მაგრა რაცალა იგი წარგებულ არს გამოხსნასა და მოყვანებასა ზედა მათსა, გარდაიხადონ იგი; თვით უკვე ამასვე უგ—ბაიცა მისი მეფე აჰლსთქვამს წმინდად აღსრულებად განჰსჯილთა რუსთა ტყვეთათვის, რომელნიცა დატყვევებულ იქმნეს მეზობელთაგან.

არტიკული მეათერთმეტე.

ვაჭრობასა ქართლისა და კახეთისა აქვს თავისუფლება, რათა განავაჭროს სავაჭრო თვისი რუსეთს შინა და ისარგებლონ მითვე სამართლითა და პატივისცემითა, რომლითაცა მკვიდრნი რუსეთისანი სარგებლობენ; ნაცვლადვე მისსა აჰლსთქვამს მეფეიკა განწესებად თავთა მთავართა მესაზღვრეთა, ანუ მინისტრთა მისის დიდებულებისათა ყოვლითა ძალითა აღ<ბ>უბუქებათ ვაჭრობისა რუსთასა სავაჭროთა შინა სამფლობელოთა შინა თვისთა, ანუ მგზავრ-განმვლელთა რუსთა-ვაჭრობისთვის სხვათა შინა ადგილთა, ამისთვის რომელ გარდა ეს გვარისა ნამდვილისა განწესებისა და ზავისა სარგებელთათვის ვაჭრობისათა ადგილი ქონებად შეუძლებელ არს, ესე იგი არს, სხვა გვარ ვაჭრობად შეუძლებელ არს.

არტიკული მეაოთხმეტე.

ზავი უკვე ესე, ანუ პირობა, იქმნების საუკუნოდ, მაგრა უკეთუ განხილულ იქმნეს რაიმეს საჭიროდ შეცვალებად, ანუ დართულად ურთიერთისათვის სარგებლისა, აქვს მას ადგილი ორთავე კერძოთა თანხმობისა.

არტიკული მეათსამეტე.

ყმაყოფისათვის აწინდელისა ტრაქტატისა სათანადო არს შეცვალებულ ყოფაი ექვსთა თთვეთა შინა ხელისმოწერითა, ანუ უკეთუ უმსწრაფეს შესაძლებელ არს.

რომლისა დასარწმუნებლად ქვემომომწერელთა სრულისა ძალისა მქონებელთა მებრ ძალისა სრულძალმქონებლობისა მათისა მოაწერეს არტიკულთა ამათზედა და ამასთანა თვისნიცა დასხნეს ბეჭედნი. თკესა იკლისსა 24 დღესა, 1783 წელსა. გიორგის ციხეში.

პაველ პოტემკინ.
თავადი იოანნე ბაგრატიონი.
თავადი გარსევან ჭავჭავაძე.

მე უკვე ქვემოხსენებული ალვსთქვამ და ვიფიცავ ამას ყოვლისა შეძლებელითა ღვთითა, წინაშე წმინდისა სახარებისა მისისა, ვითარმედ მნებავს და თანამდებცა ვარ მისის იმპერატორებითის დიდებულებისა ყოვლად უბრწყინვალესისა და უპყრობელესისა დიდისა ხელმწიფისა იმპერატრიცასა და თვითმპყრობელისა ყოვლისა რუსეთისა ეკატერინა ალექსიევნაისა, და მისისა ყოვლადსაყვარელისა ძისა, ყოვლად უბრწყინვალესისა ხელმწიფისა ცესარევიჩისა და დიდსა კნიაზისა პაველ პეტროვიჩისა, ყოვლისა რუსეთის საიმპერატროისა ტახტისა ჰსჯულიერისა მემკვიდრისა და ყოველთა მაღალთა მოსაყდრეთა მის ტახტისათ, რათა ვიყო ერთგულ, სარწმუნო და

კეთილისმწადნელ,—აღვიარებ სახელითა ჩემითა სამეფოთა და სამფლობელოთა ჩემთა საუკუნოდ უმაღლესსა მფარველობასა და უზენაესსა ხელმწიფობასა მისის იმპერატორებითის დიდებულებისა და ყოველთა მაღალთა მოსაყდრეთა მის ტახტისათა, რათა ვიყო ერთგულ, სარწმუნო და კეთილისმწადნელ,—აღვიარებს სახელითა ჩემითა სამეფოთა და სამფლობელოთა ჩემთა საუკუნოდ უმაღლესსა მფარველობასა და უზენაესსა ხელმწიფობასა მისის იმპერატორებითის დიდებულებისასა და ყოველთა მაღალთა მოსაყდრეთა მისთასა ჩემზედა და მოსაყდრეთა ჩემთა ქართლისა და კახეთისა მეფეთა ზედა, რომლისაცა შედგომითა განვაგდებ ყოველსა ჩემ ზედა და სამფლობელოთა ჩემთა ზედა ვითართამე მისაღებელთა ტიტლოთა, ანუ წინადადებათა ვითარისამე უფლებისა, ანუ ხელმწიფებისა სხვათა ხელმწიფეთა და მპყრობელთასა, და უარვყოფ მფარველობასა მათსა, შევიკვრი წმინდითა ქრისტიანებრითა სვინიდისითა ჩემითა, ვითარმედ მტერთა რუსეთისა სახელმწიფოსათა ვრაცხდე საკუთრად მტრად ჩემდა, ვითარმედ ვიყო მორჩილ და მზა ყოველსა შინა დროსა სადაც სახმარ ვიყო მსახურობასა შინა მისისა იმპ—ის დ—ბისა და ყოვლისა რუსეთისა სახელმწიფოისასა, და მას შინა ყოვლითურთ არა შევიწყალო სიცოცხლე ჩემი ვიდრე უკანასკნელ წვეთამდე სისხლისა. სამხედროთა და სამოქალაქოთა მისისა დ—სა მთავართა მიმართ და მსახურთა ვიქცეოდე უმწვერვალესითა თანხმობითა; და უკეთუ ვითარიმე საწყენი სარგებლისა და დიდებისა მისისა დ—ბისა და მისისა იმპერიისა ვცნა საქმეი, ანუ ჰაზრი, მჯის განეაცხადო იგი. მოკლედ უკვე ვიტყვი, ესრეთ ვიქცეოდე, ვითარცა ერთმორწმუნე რუსეთისა ერთადმი და შეკრულებისა ძლით ჩემისა განსჯითა მფარველობისა და უზენაესისა ხელმწიფებისა მისის იმპ—ის დ—სათა შესაბამ და თანამდებობით. ხოლო დასასრულ ჩემისა ამის ფიცისა ამბორს უყოფ სიტყვასა და ჯვარსა მაცხოვრისა ჩემისა, ამინ.

მსახურებს სახე ესე ყოფადთაცა შინა შემდგომთა მეფეთა ქართლისა და კახეთისათა ყოფისათვის ფიცითისა აღთქმისა

მეფობად მომავალთა, ოდეს იგი მიიღებენ დამტკიც ბითსა წიგნსა და ინვესტიტურათა, ბოძებულთა რუსეთისა საიმპერატოროსაგან კარისა, რომლისაცა დასარწმუნებლად ქვემომომწერელთა სრულითა ძალისა მქონებელთა მებრ ძალისა სრულმქონებლობითა მოვაწერეთ სახესა ამას ზედა და დავბეჭდეთ ბეჭდითა ჩვენითა. თვესა ივლისსა 24 დღესა, 1783 წელსა. გიორგის ციხეში.

პაველ პოტემკინ.
თავადი იოანე ბაგრატიონი.
თავადი გარსევან ჭავჭავაძე.

ყოვლად-უგანათლებულესი და სხვ. (იმპერატრიცა ეკატერინეს ტიტული...) და ირაკლი მეორე, წყალობითა ღვთისათა და თქვენის იმპ—ის დ—სა კეთილნებობით მეფე ქართლისა, მეფე კახეთისა და სხვათა, მფლობელი და მბრძანებელი განჯის და ერევნისა.

ვითარცა განწესებასა ზედა სრულისძალისმქონებელსა თქვენის იმპ—ს დ—სა და ჩვენთა სრულისძალისმქონებელთაგან პირობისა მიღებისათვის ჩვენისა სამეფოთ და სამფლობელოთ ჩვენით უმაღლესსა მფარველობასა ქვეშე თქვენის იმპ—ს დ—ბისასა და უზენაესისა ხელმწიფეების უმჯობესისათვის სარგებლისა ჩვენისა დაიმტკიცნენ ოთხნი სეპარატისა არტიკულნი, სახელით.

სეპარატისა არტიკული პირველი.

ჰაზრი მტკიცე მისისა იმპ—ის დ—ისა, რაცა ერთმორწმენენიმცა ერისა მისისანი ესოდენ მჭირსითა საკრველითა შეერთებულნი მისისა თანა იმპერიისა ეგნენ. ურთიერთარს მეგობრობასა შინა და სრულსა თანხმობასა საშიშრად მოშურნეთა მეზობელთა მათთა და მოსაწყლველად შეერთებულითა ძალითა მათდა, რომელნიცა შეეხებიან ვნებად თავისუფლე-

ბასა, განსვნებასა და კეთილდღეობასა მათსა, რომლისთვის უკვე აღიძრვის დიდებულება მისი მისისა უგანათლებულესოსადმი მეფისა ქართლისა და კახეთისა ირაკლი თეიმურაზოვიჩისა მიცემად მეგობრობითისა ჰაზრისა და განზრახვისა (ესე იგი რჩევისა) დაცვისათვის მეგობრობისა და კეთილისა თანხმობისა უგანათლ—სისა მიმართ იმერთასა სოლომონისა განწესებისათვის ყოვლისა მის რაიცაღა შესაძლებელ არს ოდენ ღონიერყოფად, წინათვე ჰსწრობად ყოვლისა ვერგულისსაყოფელისა, აღჰსთქვამს იმპერატ—რითა სიტყვითა თვისითა არათუ ოდენ შეწევნად მეცადინობითა თვისითა ყოფისათვის ესოდენ სასარგებლოისა ამის საქმისა, არამედ ამას ესე ვითარსა ზედა მშვიდობასა და თანხმობასა მისცემს თვისსა თავსმდებობას უგან—ბა მისი მეფე ირაკლი, მიმღებელი თანამდებობითითა მადლობითა დიდსულობისა მისისა დ—სა ჰზრუნვისასა დაცვისათვის მეგობრობისა ერთა შორის ერთგვართა და ერთსჯულთა, და უმაღლესსა თავმდებობასა მისსა, აღიარებს ამით, ვითარმედ ურთიერთთა შინა საქმეთა მათთა უგანათლებულობისადმი მეფისა სოლომონისა აწ და შემდგომად რაცხს მისისა ამპ—ს დ—სა სრულიად მეშუამავლედ და განაგდებს მისისა მიერ უზიანესისა განჩინებასა, ანუ განაჩენისა ვერგულის-ხმის-საყოფელთა შფოთთა შორის ორთა ამათ მფლობელთა, უფროს ყოვლისა მოლოდებისა გამოსრულთა.

არტიკული მეოთხე სეპარატისა.

დაცვისათვის სამფლობელოისა ქართლისა და კახეთისა კერძო შეხებისაგან მეზობელთასა და სიმტკიცისათვის მხედრობისა მისისა უგანათლებულესობისა მეფისა დიდებულება იმპერატორებისა აღსთქვამს შენახვად სამფლობელოთა შინა მეფისათა ორსა ჰსრულსა ბატალიონსა ქვეითსა ოთხითა ზარბაზნითა, რომელთაცა პროვიანტი და საჭმელი უსიტყვთა ხარისხისაებრ მხედრობისაგანთა მათ მიეცემის, და პრავიანტი იგი და საჭმელი უსიტყუოთა სყიდულ იქნების ნაყოფიერებისა ძლით ქვეყანისა თანხმობითა მისის უგანათლებულობითა თავისა თანამესაზღვრეთა მთავართა დადებულითა ფასითა.

არტიკული მესამე სეპარატისა.

დროსა ბრძოლისასა უთავესი იგი მთავარი მესამზღვრე მისისა იმპერატორებისა დიდებულებისა კერძოით ნიადაგ სრულისა ძალისა ქონებად თანამდებ არს, რათა უგანათლებულესობასა მისსა მეფესა ქართლისა და კახეთისასა ეთანხმოსმცა და დაჰსდვას აზრი შეწევნისათვის თქმულთა მათ ქვეყანათა და წინააღდგომისა მტერთასა მოქმედებისათვის, რომელიცა არ ჰსხვებრ, არამედ ვითარცა საერთოდ მტრად შერაცხვად სათანადო არს. ამასთანა განიწესებ ს ესეცა, ვითარმედ უკეთუ რაოდენიმე მხედრობა ქართლისა და კახეთისა ხმარებულ იქმნეს სამსახური'ათვის მისისა იმპერატორების დიდებულებისა გარეგან საზღვართა მათთა, მაშინ განიჩენების მათთვის შესანახავი სრული, თანასწორი მისისა დიდებულებისა მხედართა.

არტიკული მეოთხე სეპარატისა.

დიდებულება იმპერატორებისა მისისა აღსთქვამს, რათა დროსა ბრძოლისა იხმაროსმცა ყოველი შეძლებულობა მეცადინობის ღონითა საჭიროველისათა, ხოლო დროსა მშვიდობისასა დაზავებისა მიერ უკმოქცევისათვის ქვეყანისა და ადგილთა მტერთაგან ქონებულთა და ძველადკე სამეფოსა მიმართ ქართლისა და კახეთისა შერაცხილთა—ესენი უკვე დაშთებიან სამფლობელოდ მუნებურთა მეფეთა საფუძველსა ზედა თქმულთა ჰაზრთასა, რომელნიცა ითქვნენ მფარველობისათვის და უზენაესისა ხელმწიფებისა ყოველისა რუსეთისა იმპერატორთა.

ამათ სეპარატისა არტიკულთა აქვსთ ესე ვითარივე ძალი, ვითარცა თვით ზემოწერილნი იგი ტრაქტატნი ზემოწერილისაებრ ლექსითი ლექსად შემოყვანილ ქმნილ ეყვნენ, რომლისათვისცა სრულყოფასა მისსა იგივე პაემანი აქვს შეცვლებასა ზედა, ანუ დართვასა.

სრულისა ძალისა მქონეველთა, მებრ ძალისა სრულ-ძალ-მქონეველობისა მათისა, თვისნიცადაჰხსნეს ბეჭედნი .გიორგისციხეში, ივლისს 24 დღესა, 1783 წელსა.

პავლე პოტემკინი (აზის ბეჭედი), იოანე ბაგრატიონი (ბჭ), თავადი გარსევან ჭავჭავაძე.

ჩვენ, მიმღებელნი ამათნი თანამდებობითითა კრძალულებითა დამამტკიცებელნი ყოველისა მის, რაიცა ჩვენთა სრულის ძალის მქონებელთაგან მუნ განიწესნენ, აღვსარქვამთ მეფობითითა სიტყვითა ჩვენითა ღონითა ამის მოქმედებისათა, რომელიცა ხელითა ჩვენითა მოწერილ არს და სამეფოთა ბეჭდითა ჩვენითა განმტკიცებულ, წინაშე ღვთისა და უსამღვდელოესისა თქვენის იმპერატორების საყდრისა ჩვენთვის და მენაცვალეთა ჩვენთათვის, და ყოვლისა სამეფოსა, და სამფლობელოსა ჩვენისათვის წმინდად, მთლად და დაუხსნელად დაცვად, და აღსრულებად. დასასრულ ამის მოწყალებისა და კეთილნებობისა თქვენს ამპერატორებისს დიდებულებას მივაბარებთ თავსა ჩვენსა და სამეფოსა სახლსა ჩვენსა ყოველითა სამფლობელოითა ჩვენითა. სატახტოსა ქალაქსა შინა ჩვენსა ტფილისს, თვესა იანვარს 24, წელსა შობითგან ქ-ა 1784, მეფობისა ჩვენისა მეორმოცესა წელსა.

ერეკლე.
თავადი დავით ორბელიანი.
თავადი ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი.

მიმცემელი ღირსთანამდებობითისა კრძალულობისა ესოდენითა თ—ს იმპ---ს დ---ს მოწყალებათა ჩვენსდამო, ტომთა და ერთა ჩვენთა, ზედა ჩვენებულთათვის ჩვენ დღე ასწაულობითთა ამათ მოქმედებათა ხელითა ჩვენითა მოწერილთა და სამეფოითა ბეჭდითა ჩვენითა განმტკიცებულთა მიმღებელი და დამამტკიცებელი ყოველთა ქმნილთა და განწესებულთა ჩვენთა სრულის ძალის მქონებელთაგან აღვიარებთ, ვითარამედ იგი კმა ჰყოფს სრულებით წადილსა ჩვენსა და იმედეულ გვყოფს დროთა აწინდელთა და შემდგომთა სახლისა და მამულისა ჩვენისა განსვენებათა და კეთილდღეობათა,

რომლისათვისცა აღვსთქვამთ მეფობითითა სიტყვითა ჩვენით-
წინაშე ღვთისა ყოვლისა შემძლებელისა წინაშე უსამღვდელოა
ესისა თქვენის იმპ—ის საყდრისა და წინაშე პირისა ყოვლისა
სოფლისასა ჩვენთვის და მენაცვალეთა ჩვენთა და ყოვლისა
სამეფოსა და სამფლობელოსა ჩვენისათვის, ვითარმედ ყოვე-
ლი პირობასა ამას შინა აღფქმული ნამდვილსა ძალსა და
სწორესა გულისხმისყოფასა შინა იქმნების წმიდად, მრთლად და
დაუხსნელად დაცული და აღსრულებული. დასასრულ ამისა
მოწყალებისა და კეთილნეობისა თქვენს იმპერატორებითს
დიდ—ბას მივაბარებთ თავსა ჩვენსა და სამეფოსა სახლსა ჩვენ-
სა ყოვლითურთ სამფლობელოით ჩვენით. სატახტოსა ქალაქ'ა
შინა ჩვენსა ტფილისს, თთვესა იანვარსა 24 დღესა, 1784
წელსა შობითგან ქრისტესა, მეფობისა ჩვენისა მეორმოცესა
წელსა.

ერეკლე
თავადი დავით ორბელიანი.
თ ვადი ქაიხოსრო ჩოლოყოვი.

II.

1790 წლის ხელშეკრულება

ქართლისა, კახეთისა, იმერეთისა, გურიისა და სამეგრელოსი აღწერილი ქალაქსა თბილისს *).

ვინაიდგან ყოველთავე ივერიელთა მსახლობელთა სამეფოსა შინა ქართლისა, კახეთისა, იმერეთისა, ოდიშისა და გურიისათა აქვსთ ერთ-მორწმუნოება, არიან ძენი ერთისა კათოლიკე ეკლესიისაგან შობილნი და ერთისა ენისა მქონებელნი, აქვსთ მავასხელობითიცა, სიყვარული ვითარცა სისხლით ნათესავთა და მოყვრობით შეკრულთა ურთიერთთა-შორის.

ამისთვის ჩვენ ზემოხსენებულად ქვეყანათა ივერიისა და მეფენი და მთავარნი დამამტკიცებელნი საუკუნოსა ამის პირობისა სახელითა ყოვლად ძლიერისა ღვთისათა აღვსთქვამთ მტკიცესა ამას ერთობასა, რომელიცა თვითეულად შემდგომთა შინა ჰაზრთა ცხად იქმნების.

უფლისა იესო ქრისტეს მონა მეფე ქართლისა, კახეთისა და სხვათა, ირაკლი მეორე ქრისტიანებრითა თანამდებობითა გარწმუნებთ ყოვლისა საიმერეთოსა მეფესა შვილის-შვილსა ჩემსა სოლომონს და მთავარსა ოდიშისა და სხვათა სამთავროთა დადიანს, გრიგოლს და მთავარსა გურიისასა სვიმონს და ერთობით თავადთა, აზნაურთა და ერთა ქვემოისა ივერიისა ესრეთ.

მუხლი პირველი.

შევრაცხო ყოველი მტერი თქვენი მტერად ჩემდა და ყოვლისა სამეფოსა ჩემისა, და ვიყო მტერი მტერისა თქვენისა და მოყვარე მოყვრისა.

---

*) ნახ. Грузинскія дѣла Главнаго Архива Министерства Иностранныхъ Дѣлъ. Дѣло XXI.

მუხლი მეორე.

მაქვნდეს ზრუნვა დამშვიდებისათვის ქვეყნისა თქვენისა, და ყოვლისა შეძლებისა ჩემისამებრ ვიყო შემწე თქვენდა წინააღდგომად მტერთა თქვენთა.

მუხლი მესამე.

ვიყო მწადნელი ბედნიერებისა თქვენისათვის და დაცვათ ძეთა იმერეთისათა, ვითარცა მამა საზოგადო მათი.

მუხლი მეოთხე.

უკეთუ აღსდგეს მტერი ვინმე თქვენზედა, დიდი ანუ მცირე, მხედრობითა ჩემითა ანუ სხვითა ძალითა, სიტყვითა და საქმითა შეძლებისა ჩემისამებრ მზა ვიყო შემწედ თქვენდა

მუხლი მეხუთე.

უზენაესისა მიმართ მფარველობისა საიმპერატოროსა უმაღლესისა კარისადმი ვითარიცა მაქვნდეს შეკრულობა, ვიყო მწადნელი თქვენდაცა უბედნიერესსა შინა მდგომარეობასა მოყვანებად მფარველობითა ერთბამად ერთისა უავლუსტესისა კარისათა.

მუხლი მეექვსე.

აღთქმათა ამათ შინა ჩემთა ქრისტიანებრითა შევიკვრი თანამდებობითა თვით ძეთა ჩემთა, თავადთა საქართველოსათა და საზოგადოდ ერთა ჰსჯულ უდებ, საუკუნოდ ერთგვამად შეერთებასა ამ ს ქვემოისა ივერიისათანა და ვამცნებ ყოველთავე, რათა მტკიცედ ეგნენ ზემო აღწერილთა აღთქმათა შინა, ვითარცა ჰსჯულთა-ზედა ეკკლესიურთა, იყავნ ესრეთ. ვიცი

ვითარია თანამდებობა ჩემი და ვჰგიე მტკიცედ ხელ-მოწერისა ამისა ჩემისაებრ.

მეფე ქართლისა, კახეთისა და სხვათა ერეკლე.
დედოფალი ქართლისა, კახეთისა და სხვათა დარეჯან.
საქართველოს კათოლიკოზი ანტონი.
ვიცე კანცლერი სოლომონ ლიონიძე[4]).

2.

ტრაქტატი მეორე სატვლად ბირველისა.

უფლისა იესო ქრისტეს მონა მეფე ყოვლისა საიმერეთოსა შვილის-შვილი თქვენი სოლომონ ქრისტიანებრითა აღთქმითა გარწმუნებთ უმაღლესსა მეფესა ქართლისა, კ.ხეთისა და სხვათა მეორესა ირაკლის, უგანათლებულესთა ძეთა თქვენთა, თავადთა, კეთილშობილთა და ერთა ზემოისა ივერიისათა ესრეთ:

მუხლი ბირველი.

შევრაცხო ყოველი მტერი თქვენი მტერად ჩემდა და ყოვლისა სამეფოისა ჩემისა და ყოველი მტერი მტერისა თქვენისა და მოყვარე მოყვრისა.

მუხლი მეორე.

მაქვნდეს ყოველივე შეძლება ჩემი დაუზოგავად დამშვიდებისათვის ქვეყნისა თქვენისა და ვიყო მზა ნ-ადაგ წინაღმდგომად მტერთა თქვენთა.

---

4) ტიტული ესე მაიდო მიბაძვით რუსთა დესპანთა მინისტრობისა, 1785 წელსა ამავე ტიტულით იწოდეთ თვით მეუფესა ირაკლისაგან სულხან ბეგთა ბეგის შვილი, მამა ისაკ მდივნისა.

მუხლი მესამე.

ვიყო მწადნელი ბედნიერებისა თქვენისათვის და უგანათლებულესთა ძეთა თქვენთა, ვითარცა თანა-მდები მეფე დისწული მათი.

მუხლი მეოთხე.

უკეთუ აღსდგეს მტერი ვინმე თქვენზედა, დიდი ანუ მცირე, მხედრობითა ჩემითა ანუ სხვათა ძალითა, სიტყვითა და საქმითა შეძლებისა ჩემისა-ებრ მზა ვიყო შემწედ თქვენდა.

მუხლი მეხუთე.

უზენაესისა მიმართ მფარველობისა საიმპერატოროსა უმაღლესისა კარისადმი, ვითარცა აქვნდეს უმაღლესობასა თქვენსა შეკრულება, ვიყო თქვენთან მქონებელი, თანა-ხმობისა უბედნიერესისა მდგომარეობისა ჩვენისათვის, მფარველობითა ერთბამად ერთისა უავგუსტესისა კარისათა.

მუხლი მეექვსე.

აღთქმა ამათ შინა ჩემთა ქრისტიანებრითა შევიკვრი თანამდებობითა თვით თავადთა ყოვლისა იმერეთისათა, კეთილშობილთა და საზოგადოთა ერთა ჰსჯულ-ვუდებ საუკუნოდ ერთგულებად შეერთებასა ამას ზემოისა ივერიისათა და კამცნებ, რათა მტკიცედ ეგნენ ზემო აღწერილთა აღთქმათა შინა, ვითარცა ჰსჯულთა ზედა ეკლესიურთა. იყავნ ესრეთ. ვიცი ვითარია თანამდებობა ჩემი, და ვჰგიე მტკიცედ ხელ-მოწერისა ამის ჩემისა-ებრ.

მეფე ყოველისა საიმერეთოისა სოლომონ.

დედოფალი ყოვლისა საიმერეთოისა მარიამ.

ვიცე კანცლერი სოლომონ ლიონიძე.

3.

ტრაქტატი მესამე ნატვლად ხირველისა.

უფლისა იესო ქრისტეს მონა მე მთავარი ოდიშისა და სხვათა სამთავროთა დადიან და გრიგოლ, ქრისტიანებრითა აღთქმითა გარწმუნებთ უმაღლესსა მეფესა ქართლისა, კახეთისა და სხვათასა, მეორესა ირაკლის უგანათლებულესთა ძეთა თქვენთა, თავადთა, კეთილ-შობილთა და ერთა ზემოისა ივერიისათა ესრეთ:

მუხლი ხირველი.

შევრაცხო ყოველი მტერი თქვენი მტერად ჩემდა და ყოვლისა სამთავროისა ჩემისა და ვიყო მტერი მტერისა თქვენისა და მოყვარე მოყვრისა.

მუხლი მეორე.

მაქვნდეს ყოველივე შეძლება ჩემი დაუზოგავად დამშვიდებისათვის ქვეყნისა თქვენისა და ვიყო ნიადაგ მზა წინა-აღდგომად მტერთა თქვენთა.

მუხლი მესამე.

ვიყო მწადნელი ბედნიერებისა თქვენისათვის და ძეთა თქვენთა, ვითარ ნათესაობით თანამდები უგანათლებულესობასა მათთა.

მუხლი მეოთხე.

უკეთუ აღსდგეს მტერი ვინმე თქვენზედა, დიდი ანუ

მცირე მხედრობითა ჩემითა ანუ სხვითა ძალითა, სიტყვითა და საქმით, შეძლებისა ჩემისა-ებრ მზა ვარ შემწედ თქვენდა.

მუხლი მეხუთე.

უზენაესისა მიმართ მფარველობისა უმაღლესისა საიმპერატოროსა კარისადმი, ვითარცა აქვნდეს შეკრებულობა უმაღლესობასა თქვენსა, ვიყო თქვენთანა მქონებელი თანხმობისა მფარველობათა თქვენთანა ერთბამად ერთისა უფლუსტესის კარისათა.

მუხლი მეექვსე.

აღთქმათა ამათ-შინა ჩემთა ქრისტიანებრითა შევიკვრი თანამდებობითა თვით სახლის-წულთა ჩემთა და თავადთა სა მთავროისა ჩემისათა, კეთილ-შობილთა და ერთა ჰსჯულ-ვუდებ საუკუნოდ ერთგვამად შეერთებასა მას ზემოისა ივერიისათანა და ვამცნებ, რათა მტკიცედ ეგნენ ზემო აღწერილთა აღთქმათა შინა, ვითარცა ჰსჯულთა ზედა ეკლესიურთა. იყავნ ესრეთ. ვიცი ვითარია თანამდებობა ჩემი და ვჰგიე მტკიცედ ხელ-მოწერისა ამის ჩემისაებრ.

4.

ტრაქტატი მეოთხე ნაცვლად ბირველისა.

მე მთავარი გურიისა სიმეონ ქრისტიანებრითა აღთქმითა გარწმუნებთ უმაღლესსა მეფესა ქართლისა, კახეთისა და სხვათასა მეორესა ირაკლის უკანათლებულესთა ძეთა თქვენთა, თავადთა, კეთილ-შობილთა და ერთა ზემოისა ივერიისათა ესრეთ:

მუხლი ბირველი.

შევრაცხო ყოველი მტერი თქვენი მტერად ჩემდა და

ქვეყნისა ჩემისა და ვიყო მტერი მტრისა თქვენისა და მოყვარე მოყვრისა.

მუხლი მეორე.

მაქვნდეს ყოველივე შეძლება ჩემი დაუზოგავად სახმარ-ყოფისათვის სამეფოსა თქვენისა და ვიყო ნიადაგ მზა წინააღ-დგომად მტერთა თქვენთა.

მუხლი მესამე.

ვიყო მწადნელი ბედნიერებისა თქვენისათვის და ძეთა თქვენთა, ვითარ ნათესაობითა თანამდები უგანათლებულესო-ბათა მათთა.

მუხლი მეოთხე.

უკეთუ აღსდგეს მტერი ვინმე თქვენზედა, დიდი ანუ მცირე, მხედროობითა ჩემითა ანუ სხვითა ძალითა სიტყვითა და საქმითა, შეძლებისა ჩემისა-ებრ მზა ვიყო სახმრად თქვენდა.

მუხლი მეხუთე.

უზენაესისა მიმართ მფარველობისა უმაღლესისა საიმპე-რატოროს კარისადმი, სადაც და ვითარცა აქვნდეს შეკრუ-ლება უმაღლესობასა თქვენსა, ვიყო თქვენთანა მქონებელი თანა-ხმობისა უბედნიერესისა მდგომარეობისა ჩემისათვის მფარ-ველობითა თქვენთანა ერთბამად ერთისა უავღუსტესისა კა-ოისათა.

მუხლი მეექვსე.

აღთქმათა ამათ შინა ჩემთა ქრისტიანებრითა შევეკვრი თანამდებობითა თვით სახლის-წულთა ჩემთა, თავადთა, აზნა-ურთა და ერთა სამთავროისა ჩემისათა, ჰსჯულ-უდებ საღკუ-ნოდ ერთ-გუამ დ შეერთებასა ამას ზემოისა ივერიისათანა და ვამცნებ, რათა მტკიცედ ეგნენ ზემო აღწერილთა აღთქმათა შინა, ვითარცა ჰსჯულთა ზედა ეკლესიურთა. იყავნ ესრეთ. ვიცი ვითარია თანამდებობა ჩემი და ვჰგიე მტკიცედ ხელ-მო-წერისა ამის ჩემისა-ებრ.

შინაარსი.

		83.
წინასიტყვაობა:	. . . . .	3
თავი პირველი:	ერეკლე მეფის პოლიტიკა . . .	5
თავი მეორე:	. რუსეთის პროტექტორატი . . .	11
თავი მესამე:	. საქართველოს გაერთიანება . . .	16
დასკვნა:	. . . . .	23
დამატებანი:	. I. 1783 წლის ტრაქტატი, რუსეთსა და ქართლ—კახეთს შორის დადებული	27
	II. 1790 წლის ხელშეკრულობა, ქართლ-კახეთისა, იმერეთისა, გურიისა და სამეგრელოსი	45
	III. რუქა საქართველოს ისტორიულ საზღვრებისა რუსეთთან შეერთების დროს.	

რუსეთი საქართველოს
ისტორიული საზღვრებისა
რუსეთთან მეორეების დროს
1783-1801 წ.
ნიშნები:
საქართველოს საუკუნო საზღვრები.
საქართველოს სამეფოთა ჭ საქთაველოთა საზღვარ
საქართველოსგან დამოკიდებულ სახანოთა საზ.
რუსეთის ახლანდელი სახელმწიფო საზღვარი
კავკასიაში.

გრიგოლ ვეშაპელის ნაწერებიდან გამოცემულია:

I. Турецкая Грузія [Лазистанъ, Трапезундъ и Чорохскій край) Москва 1916 (გამოცემა გასყიდულია.)

II. Единство Грузіи и Русскій Протекторатъ Москва 1917.

III. საქართველო და რუსეთი. თბილისი 1918.

მზადდება დასაბეჭდათ: „ოსმალეთი, რუსეთი და საქართველოს საკითხი.“



წიგნის საწყობი:
„საქართველოს“ რედაქცია, თბილისი, სასახლის ქუჩა № 5.